



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის  
პრიორიტეტების დოკუმენტი

2020-2023 წლებში

# შინაარსი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ-----	3
ისტორია -----	3
მდებარეობა -----	3
ფართობი-----	3
გეოგრაფია-----	4
მმართველობითი ორგანოები-----	4
მოსახლეობა-----	5
ეკონომიკა -----	6
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა -----	6
საჯარო დაწესებულებები -----	7
ღირშესანიშნაობები -----	8
ბიუჯეტი-----	8
თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები-----	9
შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2018-2023 წლებში-----	9
შემოსულობები-----	9
გადასახდელები-----	10
ბიუჯეტის ბალანსი -----	12
2018-2019 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა -----	13
2018 წლის ბიუჯეტის შესრულება -----	13
2019 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა -----	18
თავი II. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პრიორიტ. და პროგრამები საშუალოვადიან -----	
პერიოდში-----	23
ინფრასტრუქტურის განვითარება -----	25
დასუფთავება და გარემოს დაცვა -----	32
განათლება -----	34
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი-----	40
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა -----	45
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები -----	54

# თავი I. ზოგადი ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შესახებ

## ისტორია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი -ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იმერეთის მხარეში. დასახლებული იყო ქვის ხანიდან. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ზედა პალეოლითის ხანის ადამიანის მღვიმე-ნამოსახლარი - დევისხვრელი; ბრიჯაოს ხანის საგვარეულო და საოჯახო სამარხები, სადაც აღმოჩენილი განძი ინახება სანკტ-პეტერბურგისა და ერმიტაჟის მუზეუმებში. ფეოდალურ ხანაში მუნიციპალიტეტის ტერიტორია სტრატეგიული მნიშვნელობის იყო, რადგან მასზე გადიოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზები. 1917 წლამდე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში. 1921 წლიდან ქუთაისის მაზრაში შედიოდა, 1928-1929 წლებში - ქუთაისის ოლქში, 1930 წლიდან კი დამოუკიდებელი რაიონის სახით განაგრძო არსებობა. 1932-1989 წლებში მას ორჯონიკიძის რაიონი ეწოდებოდა. ხოლო 1990 წლიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტი.

## მდებარეობა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ

ნაწილში.მუნიციპალიტეტს დასავლეთით

ესაზღვრება ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტები,სამხრეთით ბორჯომის,

აღმოსავლეთით ხაშურის,ჩრდილოეთით კი ჭიათურისა და საჩხერის მუნლიტეტები.



## ფართობი

მუნიციპალიტეტის ფართობია 91,3 (ათასი)ჰა. მთლიანი ტერიტორიის 180 კვ.კმ უჭირავს დაბლობს, ხოლო 733, 9 კვ.კმ. – მთიან ადგილებს. მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალი წერტილია მთა სამეცხვარიო 2642 მეტრი. გვხვდება თიხნარი, ღია და გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგები, სუბალპური მდელოები.

## გეოგრაფია

მუნიციპალიტეტის ტერიტორია მთაგორიანია. მდიდარია მდინარეებით და ჰიდრო რესურსებით, ყველაზე გრძელი მდინარეა ძირულა, მდინარეებში ბინადრობენ კალმახები.

მუნიციპალიტეტის უპირველეს სიმდიდრეს წარმოადგენს ტყე, რომელსაც მისი ტერიტორიის 2/3 დაახლოებით 650 კვ.კმ. უჭირავს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ნაწილი.

მუნიციპალიტეტში მოიპოვება შემდეგი ბუნებრივი რესურსები: მარმარილო, თეთრი მარმარილო, თიხა, მოსაპირკეთებელი მასალა, სამშენებლო ქვები, კვარცის მიწა, აზბესტი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორი ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტია: ნუნისი და ზვარე.

## მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელიც შედგება 35 წევრისგან. მათგან 15 არჩეულია პროპორციული, ხოლო 20 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს ერთი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია; ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.


ხარაგაულის მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირებისა ა(ა)იპ და მუნიციპალური შპს-ის მეშვეობით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მოიცავს 20 ტერიტორიულ ერთეულს: დაბა ხარაგაული, ბაზალეთი, ბორითი, ვახანი, ზვარე, კიცხი, ლაშე, ლელვანი, მოლითი, ნადაბური, სარგვეში, საღანძილე, ფარცხნალი, წიფა, წყალაფორეთი, ხევი, ხუნევი, ვარძია, ღორეშა, ხიდარი. მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის 79 სოფელი აქედან რვა სოფელი - გოლისი, ზვარე, ჩრდილი, ნუნისი,

წიფა, გოლათუბანი, გუდათუბანი, ფონა და პატრა სახვლარი მაღალმთიანი სტატუსის მატარებელი სოფლები არიან

## მოსახლეობა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2016 წლის აღწერის მდგომარეობით შეადგენს 19.4 ათას ადამიანს. მოსახლეობის რიცხოვნება 2006 წელთან შედარებით დაახლოებით 30 % -ით არის შემცირებული, მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით საქართველოს 64 მუნიციპალიტეტს შორის ხარაგაულის მუნიციპალიტეტი 50 -ე ადგილზეა.



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 0,51 %-ს, ხოლო, იმერეთის რეგიონის 3,9 %-ს შეადგენს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2018 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახელება	მოსახლეობა	ფართობი (კვ. კმ)
სულ საქართველო	3,787,000	69700
იმერეთის რეგიონი	497,4	6415
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	19,319	913
პროცენტი საქართველოსთან	0,51%	1,3%
პროცენტი რეგიონთან	3,9 %	14,2 %

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 14% დასაქმებულია საჯარო სტრუქტურებში, განათლების სექტორში, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სექტორებში. მოსახლეობის დანარჩენი 86%-ი თვითდასაქმებულია სოფლის მეურნეობის სექტორში, ან უმუშევარია.

## ეკონომიკა

მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორიის 1,5% სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება. ამ ტერიტორიის 70,9% უჭირავს საძოვრებს, ხვნა-თესვისათვის განკუთვნილია 29,1% (წლიურ ნათესებს უჭირავთ 22,5% , მუდმივ ნარგავებს – 22,5%) სოფლის მეურნეობის დარგებს შორის განსაკუთრებით განვითარებულია მეცხოველეობა და მეფუტკრეობა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მეფუტკრეობის მხრივ წამყვანი მუნიციპალიტეტია საქართველოში.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტურიზმს. ამას ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და კურორტი ნუნისი.

საბჭოთა მმართველობის დროს განვითარებული იყო მრეწველობაც. მოქმედებდა კვების, სამთო მრეწველობის, ხე-ტყის საწარმოები, ღვინის, რძისა და ავეჯის კომბინატები. დღესდღეობით მრეწველობის მასშტაბები მნიშვნელოვნად შემცირებულია. მიმდინარეობს სამშენებლო ქვის ბლოკების დამზადება, ხე-ტყის დამუშავება, სოფელ კიცხში მოქმედებს ღვინის ქარხანა.

**მუნიციპალიტეტს გააჩნია კარგი პოტენციალი ჰიდრო, ქარის და არატრადიციული ენერჯეტიკის განვითარების მხრივ.** არსებული საწარმოს ბაზაზე შესაძლებელია ჩვეულებრივი და სამკურნალო დანიშნულების ხილ-კენკროვანი ნაყოფის გადამუშავება. ღვინის, სპირტის და კონიაკის წარმოების განახლება, ბუნებრივი და მინერალური წყლების ჩამოსხმა. სამკურნალო ბალნეოლოგიური წყლების უფრო რაციონალურად გამოყენება.

## სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია საკვანძო როლს ასრულებს საქართველოს სატრანსპორტო სისტემაში. ის აკავშირებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს წიფის გვირაბითა (3910 მ.) და ხანდების გვირაბით (740 მ.). აქ გადის საქართველოს საავტომობილო მაგისტრალი ს1 და ხაშური-სამტრედიის რკინიგზის მონაკვეთი.

## **გზები**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზების საერთო სიგრძე შეადგენს 512 კილომეტრს. აქედან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი სახელმწიფო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის სიგრძეა 31 კილომეტრი. შიდასახელმწიფოებრივი გზების ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთისა და ხარაგაული-კიცხი-ზესტაფონი გზის სიგრძეა 52 კილომეტრი, შიდასასოფლო და საუბნო გზების საერთო სიგრძე კი 431 კილომეტრს შეადგენს. გზების სიგრძიდან ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობილია 105 კილომეტრი გზა, დარჩენილი კი მოწყობილია ქვიშა-ხრეშოვანი გრუნტით, რომელიც კლიმატური ზემოქმედებით ხშირად ზიანდება და მასზე გადაადგილება გართულებულია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიას სარკინიგზო მაგისტრალი კვეთს 43 კილომეტრზე. მუნიციპალიტეტში განთავსებულია 4 სარკინიგზო სადგური - ხარაგაული, მოლითი, მარელისი და წიფა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2012-2018 წლების განმავლობაში კაპიტალურად მოეწყო 70 კილომეტრი გზის მონაკვეთი, ჯამში მოეწყო 57 სოფლის ცენტრალური საავტომობილო გზები ა/ბეტონის და ც/ბეტონის ზედაპირით. 2020 წლისათვის დაგეგმილია 27 კილომეტრი სიგრძის გზის კაპიტალურად შეკეთება. სამომავლოდ საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმილია დაახლოებით 100 კილომეტრი გზის რეაბილიტაცია. რის შემდეგაც მუნიციპალიტეტის სოფლების აბსოლიტურ უმრავლესობაში ადმინისტრაციულ ცენტრებამდე საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული იქნება. მუნიციპალიტეტს გზების რეაბილიტაციისათვის პრიორიტეტად მიჩნეული აქვს ც/ბეტონის საფარის მოწყობა.

## **ტრანსპორტი**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრთა გადაადგილება და ტვირთების გადატანა შესაძლებელია როგორც სარკინიგზო, ისე, საავტომობილო ტრანსპორტით. სამგზავრო და სატვირთო ავტომობილები ძირითადად კერძო საკუთრებაშია. მუნიციპალური ტრანსპორტის ხვედრითი წილი მუნიციპალიტეტში არსებული სატრანსპორტო საშუალებების საერთო რაოდენობაში მცირეა. მგზავრთა ნაკადისა და ტვიტბრუნვის ძირითადი მიმართულებებია ხარაგაული-თბილისი, ხარაგაული-ზესტაფონი, ხარაგაული-ხაშური და ხარაგაული-ქუთაისი. ადმინისტრაციული ერთეულებიდან მუნიციპალიტეტის ცენტრში სამგზავრო-სატრანსპორტო საშუალებები არა რეგულარულად მოძრაობენ.

## **საჯარო დაწესებულებები**



ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები, მათ შორისაა:

18 საბავშვო ბაღი, სადაც აღსაზრდელთა რაოდენობა შეადგენს 550 ბავშვს. ბაღების უმრავლესობაში ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელია, 2015 წლიდან მუნიციპალიტეტში გაიხსნა 12 ახალი ბაღი. 2015 წლამდე მუნიციპალიტეტს ქონდა 8 საბავშვო ბაღი, აქედან სოფელ კიცხისა და სოფელ წყალაფორეთის საბავშვო ბაღებს გაუკეთდათ სრული დემონტაჟი და აშენდა ახალი შენობები, ასევე სოფელ ბორითში იყო მხოლოდ ერთ ჯგუფიანი ბაღი, რომელსაც ჩაუტრდა მაღალხარისხიანი კაპ. რემონტი და გაიხსნა სამ ჯგუფზე. სკოლამდელი დაწესებულებები გაიხსნა ისეთ სოფლებში, სადაც არასოდეს ყოფილა საბავშვო ბაღი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 26 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლაა, მოსწავლეთა რაოდენობა 2073 -ია, მოსწავლეთა რაოდენობა ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 60 ერთეულით, მასწავლებელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 521, მასწავლებელთა რაოდენობა ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 63ერთეულით, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანაფარდობა შეადგენს 3,7; ეს მაჩვენებელი ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 0,1-ით. მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა ჩართულია მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამაში. დაბის საჯარო სკოლები გაზიფიცირებულია და ჩართულია ცენტრალური გათბობის სისტემა.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი 300 ადგილიანი კინოთეატრი, რომელიც გამოიყენება ყველა სახის ღონისძიების ჩასატარებლად

## **ღირშესანიშნაობები**


ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიული ძეგლებით. მნიშვნელოვანია ხარაგაულის შემოსასვლელში ქვის ხანის პერიოდის ადამიანის საცხოვრებელი „დევის ხვრელი“, ისტორიული ძეგლები: ვახანის ციხე, ჩხერის ციხე და ხარაგაულის ციხე(ციხის ყელი)ტაძრები: კოზმანის სალოცავი, უბისის ტაძარი და დედაღვთისას ტაძარი (ვარძია

## **ბიუჯეტი**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები შეადგენს 16,7 მლნ ლარს. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტის ბოლო წლების ბიუჯეტების მაჩვენებლებს შორის. ბიუჯეტის შემოსულობების 46,8 პროცენტს (7,7 მლნ ლარი) მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. მათ შორის, აღსანიშნავია დამატებითი



ღირებულების გადასახადი, რომელზეც საკუთარი შემოსავლების დიდი ნაწილი (4,9 მლნ ლარი) მოდის. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.



## თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

### 2.1. შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2018-2023 წლებში.

#### შემოსულობები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით 2020-2023 წლების ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა არ იცვლება და საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას გათვალისწინებული იქნა, 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და თანმდევი მასალების (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი, სადაც აღნიშნულია, რომ „მუნიციპალიტეტები უფლებამოსილი არიან, საკუთარი შემოსულობების ფარგლებში, დასაგეგმი წლის ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებები გაზარდონ მიმდინარე წლის ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ ოდენობასთან შედარებით არაუმეტეს დასაგეგმი წლისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზირებული

ნომინალური ზრდის პროცენტული მაჩვენებლით“ ასევე 2019 წლიდან მუნიციპალიტეტებისათვის დამატებითი ღირებულების გადასახადის სისტემის გათვალისწინებით) დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსში გათვალისწინებული ცვლილებების შესაბამისად (კანონპროექტის 71-ე მუხლი) შესაბამისად. გრანტების საპროგნოზო მაჩვენებლებში, მცირედენი ზრდით შემდგომი წლებზე, მოცემულია ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის. სხვა შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლების (კაპიტალური შემოსავლები) პროგნოზის გაანგარიშებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული პროგნოზები და ამ შემოსავლის სახეობებში ბოლო წლების არსებული ტენდენციები.

**ხაარაგაულის მუნიციპალიტეტის 2018-2023 წლის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით**

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
შემოსულობები	13,863.1	21,459.9	8,178.0	8,811.5	9,180.5	9,645.8
შემოსავლები	13,837.7	16,730.5	8,153.0	8,786.5	9,155.5	9,615.8
გადასახადები	1,404.0	5,997.8	6,616.4	6,838.3	7,297.4	7,793.2
საშემოსავლო გადასახადი	234.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ქონების გადასახადი	1,170.0	1,050.0	1,100.0	1,100.0	1,100.0	1,100.0
დამატებული ღირებულების გადასახადი	0.0	4,947.8	5,516.4	5738.3	6197.4	6693.2
გრანტები	10,931.8	7,917.0	140.0	140.0	140.0	140.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	4,226.4	0.0	0.0			
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	138.0	138.0	140.0	140.0	140.0	140.0
კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები	6,567.4	7,779.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა შემოსავლები	1,501.9	2,815.7	1,396.6	1,808.2	1,718.1	1,682.6

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
არაფინანსური აქტივების კლება	25.4	40.0	25.0	25.0	25.0	30.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება)	0.0	4,689.4	0.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაროვნება)	4,785.8					

## გადასახდლები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2018-2023 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

ინფრასტრუქტურის განვითარება;

დასუფთავება და გარემოს დაცვა;

განათლება;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით  
2018 –2023 წლებში**

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
გადასახდელები სულ	13,800.7	21,459.9	8,178.0	8,811.5	9,180.5	9,645.8
ინფრასტრუქტურის განვითარება	7,246.8	12,971.7	877.8	1,275.5	1,480.0	1,783.0
დასუფთავება და გარემოს დაცვა	889.9	1,098.5	944.5	965.5	978.0	981.0
განათლება	1,291.1	2,435.4	1,476.0	1,545.1	1,626.7	1,718.3
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,251.3	1,338.6	1,312.7	1,438.3	1,484.8	1,520.2
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	793.0	1,093.5	964.0	982.6	1,004.2	1,022.0
მმართველობა და საერთო დანიშნულება	2,328.6	2,522.2	2,603.0	2,604.5	2,606.8	2,621.3

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი  
2018 –2023 წლებში**

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
შემოსავლები	13,837.7	16,730.5	8,153.0	8,786.5	9,155.5	9,615.8
გადასახადები	1,404.0	5,997.8	6,616.4	6,838.3	7,297.4	7,793.2
გრანტები	10,931.8	7,917.0	140.0	140.0	140.0	140.0
სხვა შემოსავლები	1,501.9	2,815.7	1,396.6	1,808.2	1,718.1	1,682.6
ხარჯები	6,853.3	8,664.6	7,439.7	7,721.5	7,895.5	8,062.8
შრომის ანაზღაურება	1,669.6	1,727.6	1,794.0	1,796.7	1,796.7	1,796.7
საქონელი და მომსახურება	755.2	1,862.6	598.9	642.3	641.6	650.1
პროცენტი	47.1	25.5	25.0	25.0	25.0	25.0

დასახელება	2018 წლის ფაქტი	219 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
სუბსიდიები	3,639.5	3,902.7	4,013.0	4,290.8	4,438.5	4,571.3
გრანტები	0.4	14.2	21.3	20.7	20.7	20.7
სოციალური უზრუნველყოფა	463.5	698.0	566.0	697.0	714.0	730.0
სხვა ხარჯები	278.0	434.0	421.5	249.0	259.0	269.0
საოპერაციო სალდო	6,984.4	8,065.9	713.3	1,065.0	1,260.0	1,553.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6,922.0	12,729.8	674.3	1,026.0	1,221.0	1,514.0
ზრდა	6,947.4	12,769.8	699.3	1,051.0	1,246.0	1,544.0
კლება	25.4	40.0	25.0	25.0	25.0	30.0
მოლიანი სალდო	62.4	-4,663.839	39.0	39.0	39.0	39.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	62.4	-4,729.539	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0			
ვალუტა და დეპოზიტები	2,835.5	0.0	0.0	39.0	39.0	39.0
კლება	-62.4	4,729.539	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0			
ვალდებულებების ცვლილება	0.0	-25.5000	-39.0	-39.0	-39.0	-39.0
კლება	0.0	25.500	39.0	39.0	39.0	39.0
საშინაო	0.0	0.000	0.0			
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

## 2.2 2018-2019 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

### 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 13 601,2 ათასი ლარით, ფაქტიურად 2018 წელში მიღებულია 13 863,1 ათასი ლარის შემოსულობები, შემოსულობების გეგმა შესრულებულია 101,9 პროცენტით. აქედან, საკუთარი შემოსულობები შეადგენს 2 931,3 ათას ლარს და სახელმწიფო ბიუჯეტის ტრანსფერები 10 931,8 ათას ლარს.

გადასახადები 2018 წელს მუნიციპალიტეტს დაგეგმილი 1 210,0 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 1 404,0 ათასი ლარი და გეგმა შესრულებულია 146,3 %-ით, გეგმა

შესრულდა გადასახადის სამივე სახეში, მათ შორის საშემოსავლო გადასახადი დაგეგმილი 160,0 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 234,0 ათასი ლარი, საწარმოთა ქონების გადასახადი 150,0 ათასი ლარის ნაცვლად 245,2 ათასი ლარი და ქონების გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 900,0 ათასი ლარის ნაცვლად 924. 8 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერი დაგეგმილი 11 006,6 ათასი ლარიდან მიღებული გვაქვს 10 931,8 ათასი ლარი, 99,3 %; აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი მიღებულია სრულად 4 226,4 ათას ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ასევე მიღებულია სრულად 138,0 ათასი ლარის ოდენობით, და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი 6 642,2 ათასი ლარიდან მიღებულია 6 567,4 ათასი ლარი, მათ შორის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 6273,7 ათასი ლარიდან მიღებული გვაქვს 6 199,0 ათასი ლარი, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 308,5 ათასი ლარი და სპეციალური ტრანსფერი მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ 59,9 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების წლიური გეგმა განისაზღვრებოდა 1 314,6 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 1 501,9 ათასი ლარის სხვა შემოსავლები, გეგმა შესრულებულია 114,2 %-ით და გეგმის ზევით მობილიზებულია 187,3 ათასი ლარი. ამ სახეში არ შესრულდა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის გეგმა და დაგეგმილი 100,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია მხოლოდ 40,9 ათასი ლარი ანუ 40,9 %; გადაჭარბებით შესრულდა გეგმები მიწის იჯარიდან მისაღები შემოსავლებიდან და ადგილობრივი მოსაკრებლებიდან, მიწის იჯარიდან მუნიციპალიტეტმა დაგეგმილი 30,0 ათასი ლარის ნაცვლად მიიღო 64.5 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი მოსაკრებლები 40,0 ათასი ლარის ნაცვლად მობილიზებულია 33.4 ათასი ლარი, აქედან სანებართვო მოსაკრებელი შეადგენს 1.8 ათას ლარს და დასუფთავების მოსაკრებელი 31.6 ათას ლარს.

ჯარიმებიდან მისაღები შემოსავლები 1 144.6 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 1 336.5 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმის ზევით მობილიზებულია 191,9 ათასი ლარი და გეგმა შესრულებულია 116,8 %-ით.

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსავლები 2018 წელს**

დასახელება	2018 წელი		გადახრა	%
	გეგმა	ფაქტი		
შემოსავლები	13,531.2	13,837.7	306.5	102.3

დასახელება	2018 წელი		გადახრა	%
გადასახადები	1,210.0	1,404.0	194.0	116.0
გრანტები	11,006.6	10,931.8	-74.8	99.3
სხვა შემოსავლები	1,314.6	1,501.9	187.3	114.2

არაფინანსური აქტივების კლებიდან (პრივატიზაცია) შემოსულობები 2018 დაგეგმილი 70,0 ათასი ლარიდან ფაქტიურად შემოსულია 25,4 ათასი ლარი, აქედან ძირითადი ქონების გაყიდვიდან მივიღეთ 12,0 ათასი ლარი, ხოლო მიწების პრივატიზებიდან 13,4 ათასი ლარი იქნა მიღებული.

სულ მუნიციპალიტეტის 2018 წლის საკუთარი შემოსავლები ტრანსფერების გარეშე დაგეგმილი 2 524,6 ათასი ლარის ნაცვლად მიღებული გვაქვს 2 931,3 ათასი ლარი ანუ 406,7 ათასი ლარით მეტი, ჯარიმებიდან, იჯარიდან და სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლებიდან მიღებულმა ზეგეგმიურმა შემოსავალმა გადაფარა ბუნებრივი რესურსებიდან და პრივატიზაციიდან ვერ მიღებული შემოსავლები.

გარდა ზემოთ აღნიშნული შემოსულობებისა 2018 წელს გაწეული ხარჯების დაფინანსების წყაროდ ასევე გამოყენებული იქნა 2018 წლის პირველი იანვრისათვის არსებული ნაშთი, რომელიც შეადგენდა 4 719,2 ათას ლარს, მათ შორის სახელმწიფო ფონდებიდან 4 409,4 ათასი ლარი და საკუთარი სახსრებიდან 309,8 ათასი ლარი.

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განისაზღვრა 18 320,4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად დაიხარჯა 13 800,7 ათასი ლარი, 2018 წლის გადასახდელები დაფინანსებულია 75,3 %-ით .**

2018 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა;

დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,236.0	2,194.4
თავდაცვა	86.1	85.8
ეკონომიკური საქმიანობა	11,313.8	7,089.0
გარემოს დაცვა	912.3	907.2



დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	383.2	188.9
ჯანმრთელობის დაცვა	126.9	126.9
დასვენება, კულტურა და რელიგია	1,262.7	1,251.3
განათლება	1,303.6	1,291.1
სოციალური დაცვა	695.8	666.1
სულ	18,320.4	13,800.7

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯები 2018 წლის წლიური შედეგების მიხედვით დაგეგმილი 12 609,3 ათასი ლარიდან ათვისებულია 8185,1 ათასი ლარი, 64,9 პროცენტი, ხოლო ინფრასტრუქტურული პროექტების უშუალო რეაბილიტაციაზე გათვალისწინებული**

**11 617,6 ათასი ლარიდან ფაქტიურად დახარჯულია 7 194,9 ათასი ლარი. დან. N 1**

ინფრასტრუქტურული პროექტების დასახელება	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი			შესრულების %	გადახრა (+, -)
	სულ	სახელმწიფო ფონდებით	საკუთარი სახსრებით	სულ	სახელმწიფო ფონდებით	საკუთარი სახსრებით		
გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	11028.1	10572.6	455.5	6945.2	6607.6	337.6	63.0	-4082.9
ხიდების, ბოგირების აშენება, რეაბილიტაცია	263.5	212.7	50.8	121.7	115.9	5.8	46.2	-141.8
სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების მოწყობა	21.0	1.0	20.0	17.3		17.3	82.4	-3.7
მრავალბინიანი სახლების რეკონსტრუქცია	1.7		1.7	0.4		0.4	23.5	-1.3
წყლის სისტემის რეაბილიტაცია	19.4	4.4	15.0	10.8		10.8	55.7	-8.6
კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია	86.7		86.7	84.4		84.4		

ინფრასტრუქტურული პროექტების დასახელება	2018 წლის გეგმა			2018 წლის ფაქტი			შესრულების %	გადასრა (+, -)
	სულ	სახელმწიფო ფონდებით	საკუთარი სახსრებით	სულ	სახელმწიფო ფონდებით	საკუთარი სახსრებით		
სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	1.9		1.9	0.0			0.0	-1.9
კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია (დაბის სკვერები)	183.1	180.0	3.1	3.0		3.0	1.6	-180.1
სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	12.2	12.2		12.1	12.1		99.2	-0.1
<b>სულ</b>	<b>11617.6</b>	<b>10982.9</b>	<b>634.7</b>	<b>7194.9</b>	<b>6735.6</b>	<b>459.3</b>	61.9	-4422.7

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე და მოვლა-შენახვაზე დაგეგმილი 11 301,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 7 076,9 ათასი ლარი, პროგრამა დაფინანსებულია 62,6 პროცენტით,

- გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯები დაგეგმილი 11 028,1 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 6 945,2 ათასი ლარი, ანუ 63 %

- ხიდების და ხიდ-ბოგირების რეაბილიტაციაზე მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი 263,5 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 121,7 ათასი ლარის სამუშაოები, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით გამოყოფილი სახსრებიდან სტიქიით დაზიანებული ხიდ-ბოგირების სარეაბილიტაციოდ გაწეულია 115,9 ათ.ლარი (N1679 განკარგულებით 50.2 ათ.ლარი 2018 წლის N 2712 განკარგულებით 65.7ათ.ლარი) და საკუთარი სახსრებით 5,8 ათასი ლარი.

- მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტმა დახარჯა 10,0 ათასი ლარი;

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე გათვალისწინებული 1 066,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 049,3 ათასი ლარი, ე.ი. 98,4 პროცენტი, ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა:

- სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების მოწყობა და გაწმენდა 17,3 ათასი ლარის ოდენობით.

- დასუფთვების სუბსიდირება რეორგანიზაციამდე 145,5 ათასი ლარი,

მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციისათვის პროექტის შესყიდვა 0,4 ათასი ლარი.

- წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია 10,8 ათასი ლარი.

- გარე განათების სუბსიდირება რეორგანიზაციამდე 46,5 ათასი ლარი.

- კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწყობა 84,4 ათასი ლარი;

-ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების სუბსიდირება 744,4 ათასი ლარი.

გ) უნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი 228,9 ათასი ლარიდან 46,8 ათასი ლარი იქნა ათვისებული, აქედან 43,8 ათასი ლარი მოხმარდა პარკების და სკვერების სუბსიდირებას, ხოლო 3,0 ათასი ლარი პარკების და სკვერების რეაბილიტაციისათვის პროექტის შედგენას მოხმარდა.

დ) სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები 2018 წელში მთლიანად წინა წლების ნაშთებიდან დაფინანსდა და დაგეგმილი 12,2 ათასი ლარიდან დაფინანსდა 12,1 ათასი ლარი. დაფინანსება განხორციელდა საქ.მთავრობის 2016 წლის N 265 განკარგულებით.

განათლებაზე 2018 წელში გათვალისწინებული 1303,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 291,1 ათასი ლარი და დაფინანსებულია 99,0 პროცენტით და 2017 წელს გაწეულ ხარჯებზე 46,7 ათასი ლარით ნაკლებია, 2017 წელს ფაქტიურად გაწეული ხარჯი შეადგენდა 1337,8 ათას ლარს. სკოლამდელი დაწესებულებების სუბსიდირებას მოხმარდა 1 080,0 ათასი ლარი, კიციხის სკოლა- ინტერნატის სუბსიდირებას 104,8 ათასი ლარი და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებას 103,0 ათასი ლარი.

განათლების ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფის პროგრამაზე მუნიციპალიტეტმა 2018 წელს საკუთარი სახსრებით დახარჯა 4,3 ათასი ლარი.

განათლების ა(ა)იპ-ების მიერ დახარჯული 1 287,8 ათასი ლარიდან შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 1 020,2 ათასი. ლარი ანუ ხარჯების 79, 2 %, დარჩენილი 267,6 ათასი ლარი მიმართულია სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების დასაფარავად, აღნიშნული პროფილის ა(ა)იპ-ებში დასაქმებული იყო 271 მომუშავე, საკუთარი შემოსავლები მიღებული აქვს მოსწავლეთა სახლს 2,7 ათასი ლარი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯები დაგეგმილი 1262,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 251,3 ათასი ლარი და დაფინანსებულია 99,1 პროცენტით,

სპორტის განვითარებაზე დახარჯულია 374,8 ათასი ლარი, აქედან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 5,2 ათასი ლარი, რეორგანიზაციამდე სპორტული სკოლის სუბსიდირებაზე 60,8 ათასი ლარი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე 28,1 ათასი ლარი. ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის სუბსიდირებაზე 280,7 ათასი ლარი.

კულტურის განვითარებაზე 2018 წელს დაგეგმილი 761,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 758,1 ათასი ლარი, აქედან სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე 111,9 ათასი ლარი, ხალხური შემოქმედების სახლის სუბსიდირებაზე 10,0 ათასი ლარი, კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე

65,2 ათასი ლარი, ცენტრალური ბიბლიოთეკის სუბსიდირებაზე 45,2 ათასი ლარი; ისტორიული მუზეუმის სუბსიდირებაზე 22,4 ათასი ლარი, ლიტერატურული თეატრის სუბსიდირებაზე 12,1 ათასი ლარი. ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სუბსიდირებაზე 491,3 მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის სუბსიდირებაზე 53,2 ათასი ლარი, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე დაიხარჯა 15,2 ათასი ლარი და რელიგიის დაფინანსებას მოხმარდა 50,0 ათასი ლარი;

სულ სპორტისა და კულტურის ა(ა)იპ-ებზე დახარჯული 1 181,2 ათასი ლარიდან 970,9 ათასი ლარი მოხმარდა შრომის ანაზღაურებას, ანუ 82,1 %, ხოლო დარჩენილი 210,3 ათასი ლარი სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების და ღონისძიებების დაფინანსებას მოხმარდა, აღნიშნული პროფილის ა(ა)იპ-ებში დასაქმებული იყო 203 მომუშავე, საკუთარი შემოსავლები მიღებული აქვს სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრს 45,1 ათასი ლარი, სამუსიკო სკოლას 10,2 ათასი ლარი, კულტურისა და ხელოვნების ცენტრს 13,3 ათასი ლარი.

**მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე** დაგეგმილი 822,7 ათასი ლარიდან ათვისებულია 793,0 ათასი ლარი, 96,4 %; საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე დახარჯულია 126,9 ათასი ლარი, სოციალურ პროგრამებზე 2018 წელში დაგეგმილი 695,8 ათასი ლარიდან დაიხარჯა 666,1 ათასი ლარი, აქედან უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე 92,3 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის ერთჯერად დახმარებებზე 425,0 ათასი ლარი; ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებაზე 27,0 ათასი ლარი, სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად 121,3 ათასი ლარი მათ შორის საქ. მთავრობის 2018 წლის N 2367 განკარგულებით 59.9 ათასი ლარი, და საკუთარი სახსრებით 61,4 ათასი ლარი. ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვაზე 0,5 ათასი ლარი.

სულ ჯანდაცვის და ოციალური პროფილის ა (ა)იპ-ებზე გაწეული 219,2 ათასი ლარიდან 150,6 ათასი ლარი გაწეულია შრომის ანაზღაურებაზე, 68,7 %, ხოლო დანარჩენი 68,6 ათასი ლარი სხვა დანარჩენი ხარჯების დაფინანსებას მოხმარდა, აღნიშნულ ა(ა)იპ-ებში 2018 წელს დასაქმებული იყო 30 მომუშავე, საკუთარი შემოსავლები მიღებული აქვს საზ. ჯანმრთელობის ცენტრს 11,1 ათასი ლარი.

## **2019 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის წლიური ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში ამ ეტაპზე განისაზღვრება 16 488,8 ათასი ლარით, ფაქტიურად პირველი ნოემბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს მიღებული აქვს 11 887,8 ათასი ლარის

შემოსულობები, აქედან 1 127,1 ათასი ლარი არის გასულ წელს ავანსად გადარიცხული სახსრები, რომელიც დაბრუნდა მიმდინარე წელს ხელშეკრულებების შეწყვეტისა და სადაზღვევო კომპანიების მიერ საავანსო ვადის გასვლის გამო და აღირიცხება შემოსულობებში. ათი თვის შემოსულობები წლიურ გეგმასთან მიმართებაში შესრულებულია 72,1 %-ით;

**გადასახადებში** მუნიციპალიტეტს დაგეგმილი 5997,7 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 4 524,4 ათასი ლარი, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი დაგეგმილი 150,0 ათასი ლარის ნაცვლად 246,4 ათასი ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი ჯერ-ჯერობით 3,6 ათასი ლარი არის მიღებული, თუმცა საგადასახადო კოდექსის თანახმად აღნიშნული გადასახადის შემოსვლა უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის 15 ნოემბერს. დამატებული ღირებულების გადასახადი წლიური დაგეგმილი 4 947,8 ათასი ლარიდან მიღებულია 4 278,0 ათასი ლარი, წლიური გეგმის 86,5 %-ი.

**სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერების** წლიური გეგმა ამჯერად შეადგენს 7 635,3 ათას ლარს 1 ნოემბრის მდომარეობით მიღებული გვაქვს 4 508,2 ათასი ლარი, ე.ი. წლიური გეგმის 59,0 %, მ. შ მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად მიღებულია გეგმის პროპორციულად, ხოლო სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები წლიური დაგეგმილი 7 497,3 ათასი ლარიდან მიღებულია 4393,2 ათასი ლარი, აქედან კაპიტალური ტრანსფერი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაგეგმილი 5 747,2 ათასი ლარიდან მიღებულია 2 902,7 ათასი ლარი, სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მისაღები 890,0 ათასი ლარიდან 718,5 ათასი ლარი, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან- სოფელ გოლათუბნის სხვერისა და სადგურის უბნის გზის სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი თანხები 245,1 ათასი ლარიდან 48,7 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერით დაგეგმილი 615,0 ათასი ლარიდან მიღებულია 107,0 ათასი ლარი, აქედან, სტიქიის შედეგად დაზიანებული ლეღვის გზის სარეაბილიტაციოდ საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი ათასი ლარიდან ათასი ლარი და საცხოვრებელი სახლებისათვის გადასახური მასალის შესაძენად დაგეგმილი 45,0 ათასი ლარი სრულად არის მიღებული. გრანტები ცენტრალური სსიპებიდან ასევე სრულად არის მიღებული და შეადგენს 616,3 ათასი ლარს.

**სხვა შემოსავლების წლიური გეგმა ამ ეტაპზე** განისაზღვრება 2815,7 ათასი ლარით, ფაქტიურად უკვე მიღებულია 2 832,8 ათასი ლარის სხვა შემოსავლები, წლიური გეგმა უკვე შესრულებულია 100,6 % -ით; წლიური გეგმები უკვე შესრულებულია სხვა შემოსავლების სხვადასხვა სახეში გარდა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლისა და დასუფთავების მოსაკრებლისა, აღსანიშნავია რომ დასუფთავების მოსაკრებლის გეგმა შესრულდება წლის დასრულებამდე, (წლიური გეგმა 35,0 ათასი ლარი; შესრ. 3,5 ათასი ლარი) თუმცა სავარაუდოდ ვერ შესრულდება

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადის წლიური გეგმა. რაც შეეხება დანარჩენ სახეებს, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან წლიური 45,0 ათასი ლარის ნაცვლად უკვე შემოსულია 65,9 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი 45,0 ათასი ლარის ნაცვლად 47,6 ათასი ლარი, შემოსავალი ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან 1493,7 ათასი ლარის ნაცვლად უკვე შემოსულია 1524,6 ათასი ლარი და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი 1 127,0 ათასი ლარის ნაცვლად 1 128.1 ათასი ლარი.

**არაფინანსური აქტივების კლებიდან** წლიური დაგეგმილი 40,0 ათასი ლარიდან შემოსულია მხოლოდ 22,3 ათასი ლარი, აქედან 17,3 ათასი ლარი ძირითადი ქონების გაყიდვიდან და 5,0 ათასი ლარი მიწების გაყიდვიდან.

სულ მუნიციპალიტეტის 2019 წლის საკუთარი შემოსულობების წლიური გეგმა შეადგენს 7 737,0 ათას ლარს (გადასახადები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) და პირველი ნოემბრის მდგომარეობით მიღებულია 6 278,1 ათასი ლარი, ე.ი. წლიური გეგმა ამ ეტაპზე შესრულებულია 72,1 %-ით და გეგმის შესრულებას დაახლოებით ამ ეტაპზე აკლდება 1 458,9 ათასი ლარი, მიუხედავად აღნიშნულისა საკუთარი შემოსულობების წლიური გეგმა შესრულებადია, ვინაიდან გარანტირებული შემოსავლები, როგორცაა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი, დღგ-დან ყოველდღიურად მისაღები თანხა, ასევე სხვა შემოსავლებიდან დარჩენილ პერიოდში მისაღები შემოსავლები.

2019 წლის პირველი იანვრისათვისათვის არსებული სახსრების ნაშთიდან მიმდინარე წლის წლიური ხარჯების დასაფარავად გამოყენებულია 4689,5 ათასი ლარი, მ. შ 4 087,7 ათასი ლარი სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით და 601,8 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით. ნაშთების ამ ეტაპზე სრულად არ არის ათვისებული, თუმცა უკვე ყოველდღიურად იცვლება- იზრდება ათვისების მაჩვენებელი.

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის წლიური ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში** ამჟამად განისაზღვრება 21 178,1 ათასი ლარით, ფაქტიური ხარჯვა 1 ნოემბრის მდგომარეობით შეადგენს 11 455,7 ათასი ლარს, წლიური გადასახდელების დაფინანსების პროცენტი არის 54,1 %-ი.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ათვისებას, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაგეგმილი წლიური თანხა არის 12 839,4 ათასი ლარი, ფაქტიურად კი სახელმწიფო ფონდებიდან 2019 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით ათვისებულია მხოლოდ 5 291,8 ათასი ლარი, ანუ მხოლოდ 42,2 %;

სახელმწიფო ფონდების წლიური გეგმა 12 839,4 ათასი ლარი შედგება წინა წლების სახელმწიფო ფონდების ნაშთებისაგან, რომელიც შეადგენს - 4 087,6 ათას ლარს, ასევე გასულ წელს



სახელმწიფო ფონდებიდან ავანსად გადარიცხული - 1 116,5, ათასი ლარისაგან, რომელიც დაბრუნდა მიმდინარე წელს ხელშეკრულებების გამო და 2019 წელს გამოყოფილი გრანტების წლიური გეგმისაგან, რომელიც როგორ ზევით შემოსავლების განხილვისას აღინიშნა - შეადგენს 7 635,3 ათასი ლარს. (მ. შ მიზნობრივი ტრანსფერით დელეგირებული უფლება მოსილებების განსახორციელებლად 138,0 ათასი ლარი, უშუალოდ სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებით 7 497,3 ათასი ლარი)

ფაქტიურად 2019 წელს გამოყოფილი ფონდების სახსრებიდან მიღებული 4 508,2 ათასი ლარიდან - ათვისებულია 3 636,6 ათასი ლარი, აქედან 111, 5 ათასი ლარი დახარჯულია მუნიციპალიტეტის დელეგილების უფლება-მოსილების განხორციელებაზე და 3 525,1 ათასი ლარი უშუალოდ სახელმწიფო ფონდებიდან განსახორციელებელ პროექტებზე, ხოლო 1 655,2 ათასი ლარი წინა წლების დარჩენილი სახელმწიფო ფონდების ნაშთიდან იქნა ათვისებული.

**წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების** ხარჯების დაფინანსებაზე წლიური დაგეგმილი 2381,9 ათასი ლარიდან გაწეულია 1 877,6 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის 78,8 %, აქედან

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები წლიური 636,5 ათასი ლარიდან გაწეულია 506,9 ათასი ლარი, 79,6 %.

მუნიციპალიტეტის მერიის შესანახი ხარჯები წლიური დაგეგმილი 1 734,4 ათასი ლარიდან 1 370,7 ათასი ლარი, ანუ 79,0 პროცენტით.

მუნიციპალიტეტის 2019 წლის წლიური სარეზერვო ფონდი განისაზღვრებოდა 50,0 ათასი ლარით, მიმდინარე წლის 1 ნოემბრის მდოგმარეობით სარეზერვო ფონდში ირიცხება 11,0 ათასი ლარი და 2019 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე მერის ბრძანებით განაწილებულია 39,0 ათასი ლარი, აქედან

-10,0 ათასი ლარი მიიმართა სოფელ მარელისში მცხოვრები მამუკი ლორთქიფანიძის მრავალშვილიანი ოჯახისათვის საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად;

- 10,0 ათასი ლარი სოფელ ვახანში მცხოვრები მალხაზ მხატვრიშვილის საცხოვრებელი სახლის შესაძენად;

- 2,5 ათასი ლარი ძლიერი წვიმების შედეგად დაზარალებული - სოფ. ჩხერში მცხოვრები თემური ლურსმანაშვილისა და გივი ეჯიბაძის, სოფელ ბორითში მცხოვრები შალვა კურტანიძისა და სოფ მაქათუბანში მცხოვრები ნუგზარ შველიძისათვის ზიანის ასანაზღაურებლად სამშენებლო მასალის -10 ტონა ცემენტის შესაძენად;

-0,5 ათასი ლარი დაემატა 10 ტონა ცემენტის შესაძენ თანხას;



- 10,0 ათასი ლარი სოფელ ბეჟათუბანში მცხოვრები თამაზი კაკიაშვილისათვის ახალი საცხოვრებელი სახლის შესასყიდად, რომლის საკუთარი სახლი 2018 წელს მთლიანად დაინგრა სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის პროცესში და მშენებლობის მწარმოებელმა კომპანიამ უარი განაცხადა ზარალის ანაზღაურებაზე.

- 3,0 ათასი ლარი გამოიყო დაბა ხარაგაულში მცხოვრები ირაკლი გოგსაძის შვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გამგზავრების მიზნით.

- 3,0 ათასი ლარი კი დაბაში მცხოვრები მაია გაჩეჩილაძის სპეციფიური მკურნალობისათვის.

**თავდაცვის ხარჯების დასაფინანსებლად წლიური დაგეგმილი 89,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 62,4 ათასი ლარი, მ.შ. 52,7 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით და 9,6 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით;**

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** 2019 წლის წლიური დაგეგმილი 13 839,5 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 5 978,6 ათასი ლარით, 43,2 % -ით, აქედან საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დაგეგმილი წლიური 11 310,2 ათასი ლარიდან დახარჯულია მხოლოდ 4 387,4 ათასი ლარი, 38,8 %;

მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქციის მოვლა-შენახვის ხარჯებზე წლიური 10 393,2 ათასი ლარიდან საანგარიშო პერიოდში დახარჯულია 4 136,7 ათასი ლარი, 39,8 %, აქედან 3 800,0 ათასი ლარი სახ. ფონდებით და 336,7 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

ხიდებისა და ბოგირების შეკეთებაზე წლიური დაგეგმილი 906,9 ათასი ლარიდან გაწეულია 243,9 ათასი ლარი, 26,9 %, აქედან სახ. ფონდების სახსრებით 199,4 ათასი ლარი და 44,4 ათასი ლარი საკ. სახსრებით.

( აღსანიშნავია რომ სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების რეაბილიტაციისათვის მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს დამატებით გამოიყო 243, 8 ათასი ლარი)

მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად 10,0 ათასი ლარიდან გაწეულია 6,7 ათასი ლარი და დაფინანსება ხორციელდება გეგმიურად.

2) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ქვეპროგრამაზე წლიური გათვალისწინებული 1361,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 1014,3 ათასი ლარი, 74,5 %;

სანიაღვრე არხების მოსაწყობად დაგეგმილი 60,0 ათასი ლარიდან დახარჯულია მხოლოდ 0.9 ათ. ლარი; მრავალბინიანი სახლების რეკონსტრუქციაზე 60.3 ათასი ლარიდან 31.2 ათასი ლარი; წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე ცხრა თვეში დაგეგმილი 91,8 ათასი ლარიდან 47,8 ათასი ლარი. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციის ხარჯები წლიური დაგეგმილი 51,0 ათასი ლარი მთლიანად არის გამოყენებული და მიმართულია სასესხო ხელშეკრულების დასაფარავად.

ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების დასაფინანსებლად დაგეგმილი 1098,5 ათასი ლარიდან გაწეულია 883,5 ათასი ლარი,

3) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ქვეპროგრამაზე წლიური დაგეგმილი 208,7 ათასი ლარიდან დაიხარჯულია 109,3 ათასი ლარი, 52,4 % და მთლიანად მოხმარდა სკვერების რეაბილიტაციას. მ. შ. სახ. ფონდების სახსრებით 93,3 ათასი ლარი და საკ. სახსრებით 16,0 ათასი ლარი.

4) სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 2019 წლის წლიური გეგმა განისაზღვრა 948,9 ათასი ლარით. 1 ნოემბრის მდგომარეობით დახარჯულია 467,6 ათასი ლარი, 49,3 %-ი, აქედან საკუთარი სახსრებით 2,4 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან 465,2 ათასი ლარი.

**განათლების პროგრამაზე** 2019 წლიური გათვალისწინებული 2 435,4 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 694,2 ათასი ლარი და დაფინანსებულია 69,6 % პროცენტით, მ.შ. სკოლამდელი განათლებაზე 1190,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 942,9 ათასი ლარი, სკოლა-ინტერნატის სუბსიდირებაზე - 114,0 ათასი ლარიდან - 93,5 ათასი ლარი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 105,0 ათასი ლარიდან 84,2 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფისათვის დაგეგმილი 616,3 ათასი ლარიდან 335,8 ათასი ლარი და სკოლების რემონტზე - 41,0 ათასი ლარიდან - 238, 0 ათასი ლარი.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯების პროგრამაზე წლიური დაგეგმილი** 1 338,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 110,8 ათასი ლარი და დაფინანსებულია 82,9 %-ით; სპორტის განვითარებას დაგეგმილი 403,4 ათასი ლარიდან მოხმარდა 327,2 ათასი ლარი. მ. შ. სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე წლიური 7,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 4,0 ათასი ლარი ხოლო ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე წლიური 396,4 ათასი ლარიდან- 323,3 ათასი ლარი.

კულტურის განვითარებაზე დაგეგმილი 795,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 660,5 ათასი ლარი და მ. შ. ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე წლიური 110,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 87,5 ათასი ლარი, ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სუბსიდირებაზე წლიური 671,2 ათასი ლარიდან - 562,7 ათასი ლარი, ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამაზე 13,8 ათასი ლარიდან - 10,4 ათასი ლარი;

ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის სუბსიდირებას დაგეგმილი 50,0 ათასი ლარიდან მოხმარდა 40,9 ათასი ლარი; ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებას 20,2 ათასი ლარიდან - 12,2 ათასი ლარი და რელიგიის დაფინანსების წლიური თანხა სრულად არის უკვე ათვისებული და შეადგენს 70,0 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფის პროგრამაზე წლიური დაგეგმილი 1093,5 ათასი ლარიდან 2019 წლის პირველი ნოემბრისათვის დახარჯულია 732,0 ათასი ლარი და დაფინანსებულია 66,9 % - ით.

აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე წლიური 132,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 108,3 ათასი ლარი, მ. შ. 58,0 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით, ხოლო 50,2 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

სოფლის ამბულატორიების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 57,2 ათასი ლარიდან დაიხარჯა მხოლოდ 1,6 ათასი ლარი.

სოციალურ პროგრამებზე დაგეგმილი წლიური დაგეგმილი 903,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 622,2 ათასი ლარი და დაფინანსებულია 68,9 %-ით, აქედან უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე 97,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 75,8 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის ერთჯერად დახმარებებზე წლიური 650,6 ათასი ლარიდან - 437,2 ათასი ლარი, ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებაზე წლიური გეგმის 32,0 ათასი ლარიდან - 20,1 ათასი ლარი, ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვაზე წლიური 2,0 ათასი ლარიდან - 0,8 ლარი და სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე წლიური გეგმის 121,5 ათასი ლარიდან - 88,4 ათასი ლარი, აქედან 48,5 ათასი ლარი საქ. მთავრობის განკარგულებებით და 39,9 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით.

### **თავი III. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში**

**თვითმმართველი ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა**

2020-2023 წლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული ეკონომიკის მქონე მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის ადამიანზე ზრუნვა იყო, არის და იქნება მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

2019 წელს შემუშავდა 2020 – 2023 წლების სამუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

ინფრასტრუქტურის განვითარება;

დასუფთავება და გარემოს დაცვა;

განათლება;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

**2020-2023 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით**

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	877.8	1,275.5	1,480.0	1,783.0
	მ. შ. რიცხოვნობა	13.0	13.0	13.0	13.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	944.5	965.5	978.0	981.0
	მ. შ. რიცხოვნობა	162.0	177.0	187.0	187.0
04 00	განათლება	1,476.0	1,545.1	1,626.7	1,718.3
	მ. შ. რიცხოვნობა	275.0	275.0	275.0	275.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,312.7	1,438.3	1,484.8	1,454.7
	მ. შ. რიცხოვნობა	209.0	209.0	212.0	211.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	964.0	982.6	1,004.2	1,022.0
	მ. შ. რიცხოვნობა	30.0	30.0	30.0	30.0
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	2,603.0	2,604.5	2,606.8	2,621.3
	მ. შ. რიცხოვნობა	181.0	181.0	181.0	181.0
	სულ	8,178.0	8,811.5	9,180.5	9,580.3
	მ. შ. რიცხოვნობა	870.0	885.0	898.0	897.0

შენიშვნა: რიცხოვნობაში ჩართულია შესაბამის სფეროში არსებული ააიპ-ების თანამშრომლების რიცხოვნობაც.

**ინფრასტრუქტურის განვითარება**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	7,076.9	11,591.9	587.3	1,050.0	1,250.0	1,550.0
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	6,679.3	10,638.0	507.3	1,000.0	1,200.0	1,500.0
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	234.7	251.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	31.2	29.7				
02 01 04	ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია	121.7	663.2	50.0	0.0	0.0	0.0
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	10.0	10.0	30.0	50.0	50.0	50.0
02 02	წყლის სისტემის განვითარება	28.1	151.8	50.0	0.0	0.0	0.0
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	10.8	91.8	50.0	0.0	0.0	0.0
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა)	17.3	60.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 03	გარე განათება	82.5	0.0	135.5	225.5	230.0	233.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	46.5	0.0	135.5	225.5	230.0	233.0
02 03 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	36.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	0.4	60.3	80.0	0.0	0.0	0.0
02 05	კეთილმოწყობა	46.8	208.8	0.0	0.0	0.0	0.0

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	46.8	205.8	0.0	0.0	0.0	0.0
02 08 01	სასაფლაოების მოვლა, შემოღობვა	0.0	3.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 09	სოფლის მხარდაჭერი პროგრამა	12.1	948.9	5.0	0.0	0.0	0.0
02 10	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	0.0	10.0	20.0	0.0	0.0	0.0
	<b>სულ პროგრამა</b>	<b>7,246.8</b>	<b>12,971.7</b>	<b>877.8</b>	<b>1,275.5</b>	<b>1,480.0</b>	<b>1,783.0</b>

2020 -2023 წლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების და ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია; დაბასა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებში წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის გარე განათება და კეთილმოწყობა.

### საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის პროგრამა 02 01

პროგრამის განმახორციელებელი:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის სამსახური)

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2020-2023 წლები
-----------------------------------	-----------------

პროგრამის მიზანი:

საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარის ფარტობი დღეის მდგომარეობით შედგენს 5000 კვ. კმ . საგზაო სტანდარტებს აკმაყოფილებს მხოლოდ 23 პროცენტი, მუნიციპალიტეტი გეგმავს მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში გზების მთიანი მოცულობის 50 პროცენტის მშენებლობა რეაბილიტაციას. ასევე ყურადღება ექცევა რეაბილიტირებული გზების მოვლას, რაც გულისხმობს ორმულ შეკეთებებს, ზამთარში მარილის მოყრას, ასევე გზების დაზაზვევა, სუქნიშნების მონტაჟი და მწოლიარე პოლიციელების მონტაჟს.



**პროგრამის ბიუჯეტი**

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
გზების კაპიტალური შეკეთება	4207,3	507.3	1,000.0	1,200.0	1,500.0
გზების მიმდინარე შეკეთება	0,0	0.0	0.0	0.0	0.0
საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება					
ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია	50,0	50.0	0.0	0.0	0.0
მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	180,0	30.0	50.0	50.0	50.0
<b>სულ პროგრამა</b>	<b>4437,3</b>	587.3	1,050.0	1,250.0	1,550.0

**საბოლოო მოსალოდნელი შედეგი**

შეიქმნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა
---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	02 01 01		507,3	4207,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზების საერთო სიგრძე შეადგენს 512 კილომეტრს. აქედან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი სახელმწიფო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის სიგრძეა 31 კილომეტრი. შიდასახელმწიფოებრივი გზების ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთისა და ხარაგაული-კიცხი-ზესტაფონი გზის სიგრძეა 52 კილომეტრი, შიდასასოფლო და საუბნო გზების საერთო სიგრძე კი 431 კილომეტრს შეადგენს. გზების სიგრძიდან ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობილია 105 კილომეტრი გზა, დარჩენილი კი მოწყობილია ქვიშა-ხრეშოვანი გრუნტით, რომელიც კლიმატური ზემოქმედებით ხშირად ზიანდება და მასზე გადაადგილება გართულებულია.</p> <p>ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2012-2018 წლების განმავლობაში კაპიტალურად მოეწყო 70 კილომეტრი გზის მონაკვეთი, ჯამში მოეწყო 57 სოფლის ცენტრალური საავტომობილო გზები ა/ბეტონის და ც/ბეტონის ზედაპირით. 2020 წლისათვის დაგეგმილია 27 კილომეტრი სიგრძის გზის კაპიტალურად შეკეთება. სამომავლოდ საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმილია დაახლოებით 100 კილომეტრი გზის რეაბილიტაცია. რის შემდეგაც მუნიციპალიტეტის სოფლების აბსოლუტურ უმრავლესობაში ადმინისტრაციულ ცენტრებამდე საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული იქნება. მუნიციპალიტეტს გზების რეაბილიტაციისათვის პრიორიტეტად მიჩნეული აქვს ც/ბეტონის საფარის მოწყობა.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული მიმოსვლა			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხიდების, ბოგირების მშენებლობა, ექსპლუატაცია	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება	02 01 04		50,0	0,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული მიმოსვლა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა</b>	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 01 05</b>		<b>30,0</b>	<b>180,0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები მოხმარდება ტრანსპორტით დაქირავების ხარჯებს დაბა ხარაგაულის ცენტრიდან სოფელ თეთრაწყაროს ჩათვლით და ხევი-ხარაგაულის მიმართულებით ტრანსპორტის დაქირავების ხარჯებს.			
მოსალოდნელი შედეგი	დაბა ხარაგაულსა და სოფლებს შორის დამაკავშირებელი ტრანსპორტი გადაადგილდება და მგზავრებს ემსახურება შეუფერხებლად			

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>წყლის სისტემის განვითარება</b>	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2020-2023 წლებზე ათას ლარში
	<b>02 02</b>		<b>50,0</b>	<b>200,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს, სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაციას. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც დაბა ხარაგაულს ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება;</li> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;</li> <li>- წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.</li> </ul> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა და კანალიზაციის (სანიაღვრე არხების მოწყობა) სისტემის განვითარების ქვეპროგრამა. ექსპლოატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან.</p> <p>მიმდინარე ეტაპზე პროგრამის შედეგა 1 ქვეპროგრამისაგან - სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა.</p> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი</p>			

	<p>ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.</p> <p>ხარაგაულის მუნიციპალიტეტში კანალიზაციის ცენტრალური სისტემა არ არსებობს. მუნიციპალიტეტი საკუთარი შემოსულობებით ვერასდროს ვერ შეძლებს აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას... ამიტომ საჭიროა სხვადასხვა ფონდებთან თანამშრომლობა აღნიშნული პრობლემის გადაჭრის დასაწყებად..</p>
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობს სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი;</li> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე ქონდეს შეუფერხებელი წვდომა;</li> <li>- აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებდეს გამართულად;</li> <li>- წყლის სისტემაში პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილი იქნას დროულად.</li> </ul> <p>- მოძიებული იქნას დაფინანსება კანალიზაციის სისტემის მოსაწესრიგებლად.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2020-2023 წლებზე ათას ლარში
	02 02 01		50,0	200,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დაბა ხარაგაულის გარდა გარდა 20 ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდა და დაზიანების აღმოფხვრა. რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში შექმნილია წყლის ტუმბო და გენერატორი. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა;</li> <li>- ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;</li> <li>- საჭიროების შესაბამისად წყლის ახალი ტუმბოების შექმნა.</li> </ul> <p>ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები. შინაარსის ტიპის მიხედვით სასმელი წყლის სისტემების ექსპლუატაციის ქვეპროგრამა მიეკუთვნება მომსახურების მიწოდების ტიპის ქვეპროგრამას, პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაწევა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას.</p> <p>-საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში წყლის სისტემის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი სახსრებით შესასრულებელი პროექტების საზედამხედველო და საპროექტო სამუშაოებში თანამონაწილეობის მიღება</p>			
მოსალოდნელი შედეგი	აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებდეს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილი იქნას დროულად.			

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	დაფინანსება 2020-2023 წლებზე ათას ლარში
	02 03		135,5	824.0
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური			
პროგრამის აღწერა	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს დაბა ხარაგაულში და 17 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 80%. გარე განათების სისტემა მოიცავს პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 85,0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას.</p> <p>პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია;</li> <li>- გარე განათებისა ხალი წერტილების მოწყობა</li> </ul>			

	<p>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას).</p> <p>ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.</p> <p>2019 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.</p>
<p>პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	2020 დაფინანსება ათას ლარში	წლის	დაფინანსება 2020-2023 წლებზე ათას ლარში
	02 03 01		135,5		824,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)კ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს დაბა ხარაგაულში, ასევე 17 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების, ლამპიონების და სხვა გასანათებელი მოწყობილობების გამოცვლა;</li> <li>- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;</li> <li>- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.</li> </ul> <p>პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას (85,0 ათასი ლარი).</p>				
მოსალოდნელი შედეგი	<p>მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 80%.</p>				

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	2020 დაფინანსება ათას ლარში	წლის	დაფინანსება 2020-2023 წლებზე ათას ლარში
	02 04		80,0		0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაბა ხარაგაულის და სოფლების დიდვაკისა და მოლითის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე სახურავების რეაბილიტაცია				
მოსალოდნელი შედეგი	საცხოვრებელი სახლების გადახურვა და მოსახლეობის სოციალური პირობების				

## დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დაბასა და სოფლის ცენტრებში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; დაბისა და სოფლის ცენტრების ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა დაბასა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

პრიორიტეტის კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	889.9	1,098.5	800.8	734.0	737.5	739.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	0.0	0.0	135.2	221.5	228.5	230.0
03 03	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	0.0	0.0	8.5	10.0	12.0	12.0
	სულ პროგრამა	889.9	1,098.5	944.5	965.5	978.0	981.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანას	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლებზე დაფინანსება ათას ლარში
	<b>03 01</b>		<b>800.8</b>	<b>3,011.3</b>
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ., დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"			



<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.</p> <p>მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ ახორციელებს დაბისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 4 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი.</p> <p>სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში:საღანძილე ჩხერი, ვანი,დიდვაკე, ლედვანი, მარელისი,ვახანი.მოლითი,დეისი, წიფა ,ფარცხნალი ისლარიბაზალეთი თეთრაწყარო ,კიცხი, ხიდარი ,ვარძია ,წყალაფორეთი ,ხევი,ნადაბური ხუნევი, გედსამანია ,ვერტყვიჭალა ,ბორითი, ამაშუკეთი, უბისა, მაქათუბანი,ლორეშა,სარგვეში,ქროლი,საბე,ლარხიხვის შეროვებული ნარჩენები გადის ზესტაფონის (მერიის) ნაგავსაყრელზე.</p> <p>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 35 მ/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 4 ნაგავმზიდი.პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები,მტვირთავი მუშები,წყალანიერების ჯგუფი, ზედამხედველები,მუნიციპალიტეტის მერიის ,ხევისა და ღორემის საზოგადოებრივი ცენტრების დამლაგებლები,დარაჯები და სხვა) ხელფასებს.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება დაბა ხარაგაულისა და მუნიციპალიტეტის სოფლების დასუფთავება და ნარჩენების გატანა; დასუფთავდება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	2020 წლის დაფინანსება	2020-2023 წლებზე დაფინანსება
პროგრამის განმახორციელებელი	03 02	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ.,დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"	135.2	815.2
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება დაბა ხარაგაულის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 35 საშტატო ერთეულის ხელფასების დაფინანსება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი		<p>ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცეღვითი სამუშაოები.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლებზე დაფინანსება ათას ლარში
	03 04		8,5	42,0

პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ., დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება მაწანწალა ძაღლები

## განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტისათვის ასევე მნიშვნელოვანია ზოგადი და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა.

პრიორიტეტის კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1,080.0	1,190.0	1,299.0	1,354.1	1,440.7	1,529.3
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	3.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 03	მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	0.0	616.4	0.0	0.0	0.0	0.0
04 04	სკოლების რეაბილიტაცია	0.0	410.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 05	ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	104.8	114.0	67.0	67.0	67.0	67.0
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	103.0	105.0	110.0	124.0	119.0	122.0



პრიორიტეტის კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
	<b>სულ პროგრამა</b>	<b>1,291.1</b>	<b>2,435.4</b>	<b>1,476.0</b>	<b>1,545.1</b>	<b>1,626.7</b>	<b>1,718.3</b>

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>ხარაგაულის სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება</b>	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	<b>04 01</b>		<b>1299,0</b>	<b>5623,1</b>
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ -ე. კვიციანიის სახ. სკოლამდელი დაწესებულებათა გაერთიანება			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს.</p> <p>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ზემოწინასათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. 2020 წლისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებათა გაერთიანებაში იფუნქციონირებს 19 საბავშვო ბაღი, 644 აღსაზრდელით. მათ შორის 3 ბავშვს ჯგუფი. არის 3 სკოლისათვის მზაობის ჯგუფი. გაერთიანებაში 2020 წლისათვის დასაქმებული იქნება 237 თანამშრომელი. 2020 წლიდან გვემატება სარგვემის, ბორის საბავშვო ბაღები, ღორემის მეორე ჯგუფი და სკოლისათვის მზაობის ჯგუფი სოფელ გედსამანიში.</p> <p>გაერთიანება ვალდებულია ბავშვბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;</p> <p>ბავშვბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ბავშვბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;</p> <p>ბავშვბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა და საჭიროების შემთხვევაში ახლის შექმნა.</p> <p>ბავშვბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p> <p>ა(ა)იპ - სკოლამდელი დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებულ პერსონალზე შრომითი პირობების გაუმჯობესება და კვალიფიკაციის ამაღლება, რისთვისაც ჩასმული გვაქვს 2020 -21-22-23 წლებისათვის გარკვეული თანხა.</p> <p>2020 წლისათვის არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯებში გათვალისწინებულია N 2 საბავშვო ბაღის გაზიფიცირება, სოფელ გედსამანიის საბავშვო ბაღის რემონტი და სოფელ ღორემის საბავშვო ბაღში მეორე ჯგუფის გახსნისათვის საჭირო ხარჯები.</p>			

მოსალოდნელი შედეგი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტისა.ა.ი.პ. ე. კიკნაძის სახ. სკოლამდელი დაწესებულებათა გაერთიანება სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტები. სრულად დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო და საგანმანათლებლო სფეროში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 644 შესაბამისი ასაკის ბავშვი.
--------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	04 05		67,0	268,0

პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ ბორის საჯარო სკოლა პანსიონი
-----------------------------	----------------------------------

პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ბორის საჯარო სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სწავლას ახორციელებს, დაწესებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. შესულია საჯარო სკოლის წესდების N 448 ბრძანების მესამე დანართში და ბავშვებს სთავაზობს პანსიონურ მომსახურებას ადგილობრივი ბიუჯეტიდან.</p> <p>ადგილობრივი ბიუჯეტიდან წამოსული თანხები მთლიანად ხმარდება სკოლას პანსიონური მომსახურების განსახორციელებლად, სკოლაში დღეის მდგომარეობით 138 მოსწავლეა აქედან 14 მოსწავლე ათევს ღამეს, მათ შორის არის უკიდურესად გაჭირვებული, ობოლი და მზრუნველობა მოკლებული მოსწავლეები. პანსიონი გულისხმობს მოსწავლეების უზრუნველყოფას ღამის გათევით, კვებით და მკურნალობით, ასევე აუცილებელი ჰიგიენის ნივთებით და ტანსაცმლით, ამასთან ერთად ბავშვები, რომლებიც სკოლაში რჩებიან უზრუნველყოფილნი არიან საკანცელარიო ნივთებითა და სხვა სასწავლო რესურსებით. თუმცა მიუხედავად ამისა სკოლას ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული თანხის უმეტესი ნაწილი ხელფასებს ხმარდება, სკოლაში დასაქმებულია 57 თანამშრომელი და აქედან 31 ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, ამის გარდა რაც ყველაზე მთავარია, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით სკოლა იზიდავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სკოლაში სკოლის პანსიონური ტიპიდან გამომდინარე შემოდის და გარდა სკოლაში დამრჩენი 14 ბავშვისა, სკოლის ყველა მოსწავლეს უწევს დახმარებას, რაც გამოიხატება მოსწავლეების საჭიროებებზე, კერძოდ: ყოველწლიურად საზამთრო ქურთუკების, ბათინკების, სპორტულების, ბოტასებისა და ჯინსის შარვლების შექმნა, საკანცელარიო რესურსების შექმნა, ჰიგიენური და სამეურნეო საშუალებებით მომარაგება, ოპერაციების გაკეთება (ყველა მოსწავლეზე ვრცელდება), მედიკამენტებით მომარაგება, კვების პროდუქტებით მომარაგება, (რაც საშუალებას გვაძლევს სკოლის ყველა სოც დაუცველმა 78 მოსწავლემ უფასოდ იკვებოს) სტომატოლოგიური მომსახურების დაფინანსება, (რაც ასევე ყველა მოსწავლეზე ვრცელდება) ბავშვების რეგულარული სამედიცინო გამოკვლევა, სკოლაში ბავშვთა ექიმის მომსახურება, წელიწადში ერთხელ ქუთაისის პირველადი ჯანდაცვის ცენტრიდან სპეციალური მოწვევით (არასამთავრობოს მიერ) ექიმთა ბრიგადის მიერ მოსწავლეების სხვადასხვა სახის სამედიცინო გამოკვლევები, ამ გამოკვლევების შედეგად მოსწავლეებისათვის საჭირო მედიკამენტების შექმნა, (უზრუნველყოფს არასამთავრობო ორგანიზაცია). სკოლაში სამოქალაქო განათლების კლუბის „სმარტ კლუბის“ პროექტების დაფინანსება, (სოციალური, საქველმოქმედო, საგანმანათლებლო, შემეცნებითი პროექტების განხორციელება, წელიწადში მინიმუმ 10 პროექტი), რაც ყველაზე მთავარია სკოლაში შემოღებულია სახელობო სწავლება, სადაც ბავშვები სწავლობენ: ცეკვას, სიმღერას, სტილისტის პროფესიას, კერვას, ხატვას, კარატეს, ხალხურ საკრავებს, კომპიუტერის შემსწავლელ კურსებს და ხელოვნების შემსწავლელ კურსებს. ეს ყველაფერი ბავშვებისათვის უფასოა და მათ მასწავლებლებს ხელფასებს არასამთავრობო ორგანიზაცია უზღდის.</p> <p>გარდა ამ ყველაფრისა, ორგანიზაციის მიერ ამ დროისათვის უმაღლეს სასწავლებელში დაფინანსებულია, რაიონის მკვიდრი ოთხმოცამდე ჩვენი სკოლადამთავრებული.</p> <p>ამავე დროს ყოველ წელს უმჯობესდება სკოლის მატერიალურ ტექნიკური ბაზა, ასევე ბავშვებს ეხმარებიან პროფესიული განათლების მიღებაში. ამასთან ერთად სკოლაში მათ მიერ შემოტანილი იქნა სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახის ელექტროტექნიკა: მაცივარი, სარეცხი მანქანა, საშრობი მანქანა, სამზარეულოსთვის საჭირო ინვენტარი, ტელევიზორები, ვიდეო მაგნიტაფონები, მუსიკალური ცენტრი, კომპიუტერები და სხვა . ასევე დამრჩენი ბავშვებისთვის საძინებელ კორპუსში საჭირო ინვენტარი. არასამთავრობო ორგანიზაცია იხდის დახარჯული ელექტრო</p>
----------------------------	---

	<p>ენერჯის ყოველთვიურ საფასურს და ეს თანხა 2018 წელს შეადგენდა 7200 ლარს. ეს ინვესტიციები რაც შემოდის დამოკიდებულია ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე.</p> <p>ადგილობრივიდან შემოსულ თანხაზე მეტი შემოდის არასამთავრობო ორგანიზაციიდან, რაც რა თქმა უნდა ხმარდება ისევ და ისევ ჩვენს ადგილობრივ მოსახლეობას. მომავალი წლის განმავლობაში ვფიქრობ ეს პროექტები არასამთავრობო ორგანიზაციიდან ისევ გაგრძელდება, რაც ძალიან კარგი იქნება, არამარტო ჩვენი სკოლის არამედ მთელი სოფლის მოსახლეობისათვის. სულ სახელფასო ფონდი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2019 წელს შეადგენს 108300 ლარს, ხოლო ხარჯი 5700 ლარს. სკოლას ბოლო თერთმეტი წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტიდან არ მოუთხოვია კვების და მკურნალობის ხარჯები, აღნიშნული ხარჯები ფინანსდება ნატურალური სახით არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, რაც იმედია მომავალშიც გაგრძელდება..</p> <p>იმისათვის რომ ბავშვებს გამართულად მოვემსახუროთ, აუცილებელია შევინარჩუნოთ ის შტატები, რომლებიც დღეს გვაქვს და ბოლოს მინდა ავღნიშნო რომ ამ დაფინანსებით ცხოვრებას ვუადვილებთ არა მარტო სკოლაში დამრჩენ ბავშვებს, არამედ სკოლის ყველა მოსწავლეს და ყველა თანამშრომელს, რადგან გარდა ამ დაფინანსების სიკეთებისა, სკოლას დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა შეუძლია.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორის საჯარო სკოლა, საადმინისტრაციო პროცესის წარამთვისების უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით: დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური ნორმები, გაუმჯობესდება სოციალურად დაუცველი ბავშვების ყოფა და მათთვის პირველხარისხოვანი გახდება სწავლაზე ზრუნვა, ასევე ხელმისაწვდომი იქნება მათთვის უმაღლესი განათლების უფასოდ მიღება. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სიკეთებისა მომავალ სასწავლო წელს ორგანიზაციის მიერ გვაქვს უფრო მეტი შემოთვალისწინებული, რაც აისახება მოსწავლეების კეთილდღეობაზე. კლუბის მუშაობის შედეგად სოფელში მაცხოვრებელი უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში პირველადი მოხმარების საჭირო სურსათით მომარაგება და ზრუნვა, რაც მოსწავლეებში აღვივებს თანაგანცდისა და კეთილგანწყობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.</p> <p>ყველა ზემოთ აღნიშნული დაფინანსებით მოპოვებული აქტივობები და რესურსები მოხმარდება და გამოადგება არამხოლოდ სკოლის შიგნით არსებულ მოსწავლეებსა თუ პერსონალს, არამედ მთლიანად სოფლის მოსახლეობას, რაც მნიშვნელოვანია დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	04 06		110,0	475,0
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“ და მასთან არსებული მუსიკალური სტუდია „ჰარმონია“</p> <p>პროგრამა გულისხმობს მოზარდთა შემეცნებით საგანმანათლებლო დონის ამაღლებას, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციას.</p> <p>მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 14 დასახელების წრე; საესტრადო სიმღერის წრე (45 ბავშვი), რიტმული ცეკვის წრე (30 ბავშვი), ხალხური სიმღერის წრე სოფ. ლედვანსი (15 ბავშვი), კინომოყვარულთა წრე (25 ბავშვი), კომპიუტერის შემსწავლელი წრე სოფ. ბორითი (10 ბავშვი), საეკლესიო საგალობლების შემსწავლელი წრე (35 ბავშვი), ნორჩ-მათემატიკოსთა წრე (30 ბავშვი), მხარეთმცოდნეობის შემსწავლელი წრე (32 ბავშვი), ხელგარჯილობის წრე (25 ბავშვი), ინგლისური ენის შემსწავლელი წრე (35 ბავშვი), ხატვის წრე (30 ბავშვი), მაკრამეს წრე (25 ბავშვი, სპეც. საჭიროების ჯგუფი (10 ბავშვი), საბავშვო თეატრი (18 ბავშვი), ხეზე კვეთის წრე სოფ. მარელისში (12 ბავშვი), მუსიკალური სტუდია ხარაგაულსა და სოფელ ვერტყვიჭალაში (31 ბავშვი).</p> <p>ბავშვებისათვის ყველა წრე უფასოა გარდა მუსიკალური სტუდიისა, რომელიც ნაწილობრივ ფინანსდება მშობელთა შემონატანით, რაც შეეხება სოციალურად დაუცველ სტუდიის მოსწავლეებს გათავისუფლებულბულები არიან გადასახადისაგან. წრეებში გაერთიანებულია სულ 408 ბავშვი. (სახელობითი სიით 260 ბავშვი). მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში დასაქმებულია 22 თანამშრომელი, მათ შორის 2 ტექნიკური და 4 ადმინისტრაციული პერსონალი, 16 პედაგოგი. ტექნიკური პერსონალის ხელფასი შეადგენს 7800 ლარს, ადმინისტრაციის 39000 ლარს, პედაგოგების 60060 ლარს.</p> <p>ბავშვები პერიოდულად მონაწილეობა ღებულობენ რაიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებში, ფესტივალებსა და კონკურსებში.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p>			

	<p>მოსწავლე-ახალგაზრდობის თავისუფალი დროის შინაარსიანი გამოყენება.  მეტი მოზარდის ჩართულობა.  წარმატებით ჩატარებული ღონისძიებები.  მუნიციპალიტეტის წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით ფესტივალებზე და კონკურსებზე მიღწეული შედეგებით.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი სასწავლო წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი კმაყოფილია მოსწავლეთა სახლის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია წრეებით სარგებლობა.</p>

## კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

პრიორიტეტის კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	374.8	406.4	385.0	423.5	448.3	474.9
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	5.2	10.0	10.0	12.0	13.0	14.0
05 01 02	სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა	369.6	396.4	375.0	411.5	435.3	460.9
05 01 03	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	758.1	795.0	817.7	891.1	909.7	915.3
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	758.1	795.0	810.7	881.1	899.7	905.3
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	111.9	110.0	125.0	128.4	130.4	130.1

პრიორიტეტის კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
05 02 01 02	კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა	636.2	671.2	665.0	732.0	748.6	754.5
05 02 01 03	ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	10.0	13.8	20.7	20.7	20.7	20.7
05 02 02	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	0.0	0.0	7.0	10.0	10.0	10.0
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	53.2	50.0	50.0	61.2	63.3	65.5
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50.0	70.0	50.0	50.0	50.0	50.0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	15.2	17.2	10.0	12.5	13.5	14.5
	<b>სულ პროგრამა</b>	<b>1,251.3</b>	<b>1,338.6</b>	<b>1,312.7</b>	<b>1,438.3</b>	<b>1,484.8</b>	<b>1,520.2</b>

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	<b>05 01 01</b>		<b>10,0</b>	<b>49,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა; წარმატებული და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება და ხელშეწყობა; ფაქტობრივი და ვეტერანი სპორტის დამსახურებული სპორტსმენების დასაჩუქრება; სპორტული ა.(ა).ი.პ.-ების ფუნქციონირების ხელშეწყობა; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე ტრანსპორტირებაში დახმარება;			
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების უწყვეტი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლინება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა;			

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	<b>05 01 02</b>		<b>375,0</b>	<b>1682,7</b>
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი			
პროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი აერთიანებს 15 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (80 ბავშვი); კალათბურთი (86ბავშვი); მაგიდის ჩოგბურთი (12ბავშვი); ჭადრაკი და შაში (12ბავშვი); ძიუ-დო (66 ბავშვი); თვისუფალი ჭიდაობა (16ბავშვი); ქართული ჭიდაობა (20 ბავშვი); ბერძნულ-			



	<p>რომაული ჭიდაობა (16 ბავშვი); სამბო (18 ბავშვი); კარატე ტაიკვანდო (24ბავშვი); კარატე კუნგ-ფუ-სანდა (24ბავშვი); სპორტული კარატე (20ბავშვი); რაგბი (24ბავშვი); მძლეოსნობა(18ბავშვი); მკლავჭიდი (15ბავშვი). სულ 27 ჯგუფია, ჯგუფები გახსნილია ბორითში, ხევში, კიციხეში, ბორში, ვერტყვიჭალაში, ნადაბურში, ღორეშაში, ვახანში, მოლითში. სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 450 მოსწავლე, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 4-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია 66 ადამიანი, მათ შორის 39 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 27 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას დეზლობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი ტურიზმის მიმართულებით ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: იბლიანი ანკესი, ჯომარდობა, ხარაგაულელი პირველკურსელების გაცილება სტუდენტობის გზაზე, დაიცავი ბუნება განადგურებისაგან, ლედენის ბანაკი და სათავგადასავლო ტურ-თამაშები, იცნობდეთ ხარაგაულს და ახალგაზრდა მოყვარულ მხატვართა კონკურსი</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;</li> <li>- მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;</li> <li>- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით;</li> <li>- უკანონო თევზჭერის დაგმობა და სპორტული თევზაობის პოპულარიზაცია;</li> <li>- ჯომარდობის მნიშვნელობის გაზრდა და სამომავლოდ ჯომარდობის სკოლის ჩამოყალიბება;</li> <li>- ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ გამოავლინონ საკუთარი ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობები; - ახალგაზრდა ნიჭიერი შემოქმედი ბავშვების გამოვლენა და მათი წახალისება</li> </ul>
მოსალოდნელი შედეგი	<p>სპორტული ცენტრი მთელ იწლისმანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ცენტრის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა;</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		125,0	645,4
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, კლასიკური გიტარის, საესტრადო ვოკალის, დრამის მიმართულებები. სამუსიკო სკოლაში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 96 ბავშვი. სკოლაში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 16 თანამშრომელს. დაფინანსება 128350 ლარი. სკოლაში ფუნქციონირებს ვოკალურ- ინსტრუმენტული ბენდი.</p> <p>სამუსიკო განათლების ხელშეწყობის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე დაკვრის შემსწავლელი მიმართულებების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება. მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებს შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამუსიკო განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით და საზღვარგარეთ ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში</p>			

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		665,0	2 900,1
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი			

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 1 კულტურის ცენტრი, 1 ისტორიული მუზეუმი, 25 ბიბლიოთეკა, ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი და რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი.</p> <p>კულტურის ცენტრში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ვოკალური წრე, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, აღნიშნული წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 50-მდე აღსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 200-მდე მონაწილე. დაფინანსება 65,400 ლარი.</p> <p>მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საბიბლიოთეკო განყოფილება, მათ შორის 1 ცენტრალური, 1 საბავშვო, 1 პატარა ხარაგაულის და 22 სასოფლო ბიბლიოთეკა. წიგნადი ფონდი ჯამში შეადგენს 196123 ერთეულს. ბიბლიოთეკით მოსარგებლეთა რაოდენობა შეადგენს 4700 ადამიანს. დაფინანსება 96,780 ლარი. ბიბლიოთეკა ახორციელებს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებს, ტრადიციულად აქტიურად მონაწილეობს საბიბლიოთეკო კვირეულში, გრძელდება პროექტი „შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან“, რომლის ფარგლებშიც არაერთი ცნობილი სახე სტუმრობდა ხარაგაულს. აქტიურად მიმდინარეობს წიგნადი ფონდის განახლება და მოსახლეობაში წიგნის პოპულარიზაცია, ბიბლიოთეკა ახორციელებს პროექტს შშმ პირთათვის, პროექტით სარგებლობს 30-მდე ბენეფიციარი, დაფინანსება 11,540 ათასი ლარი. აგრეთვე ფუნქციონირებს ბიბლიოთეკასთან არსებული ინოვაციების ცენტრი, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა სახის ტრენინგებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ტრენინგები ტარდება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, მოსარგებლეთა რაოდენობა 250 მდე ადამიანი. დაფინანსება 11,400 ლარი. სულ ბიბლიოთეკისა და მასში შემავალი განყოფილებების დაფინანსება 119,720 ლარი.</p> <p>კულტურის ცენტრთან არსებული ო. აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი მრავალი ათეული წელია წარმატებით ფუნქციონირებს. მომავალ წელს აღინიშნება თეატრის დაარსების საიუბილეო თარიღი, იგეგმება 2 პრემიერა და 2 სპექტაკლის აღდგენა სულ გაიმართება 8 ჩვენება. თოჯინების სპექტაკლი გამართავს 1 სპექტაკლის პრემიერას, რომელიც ნაჩვენები იქნება 4ჯერ. ასევე წარმატებულად მოღვაწეობს რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი, დაგეგმილია 5 სპექტაკლის პრემიერა, აღდგება 12 სხვადასხვა სპექტაკლი და საბოლოო ჯამში გაიმართება 42 ჩვენება. აღსანიშნავია, რომ სპექტაკლები და თეატრალური წრმოდგენები იმართება როგორც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასევე მის ფარგლებს გარეთაც. სულ თეატრების დაფინანსება 137,160 ლარი.</p> <p>მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 1 ისტორიული მუზეუმი, ექსპონატების რაოდენობა 11 686 ერთეული; ვიზიტორები წლის განმავლობაში 4250; მუზეუმის დაფინანსება 62,520 ლარი, მუზეუმში ხორციელდება სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროექტები: პატარა არქეოლოგები, მოხალისე გიდები, პატარა რესტავრატორები, „ჩვენ ვხატავთ ანიმაციას“, „ფერწერული მუსიკა“, „ქართული საცხოვრებელი“ და ა.შ. პერიოდულად იგეგმება საგამოფენო დარბაზის განახლება ექსპონატებით, მოეწყობა სხვადასხვა სახის ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა. ფუნქციონირებს ხატვისა და ქანდაკებების შემსწავლელი წრე, სადაც აღსაზრდელები ეუფლებიან სხვადასხვა მასალების გამოყენებით ფერწერული თუ კერამიკული ნამუშევრების შექმნას.</p> <p>მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლების მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიული, ფოლკლორული და ვოკალური წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. თეატრებში იდგმება სპექტაკლები. ბიბლიოთეკები და მუზეუმები საკუთარი მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით (ხელფასი და სხვა)</p>

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი <b>05 02 01 03</b></p>	<p><b>ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა</b></p>	<p>2020 წლის დაფინანსება ათას ლარში <b>20,7</b></p>	<p>2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში <b>82,8</b></p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი</p>			



პროგრამის აღწერა და მიზანი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სორის 2019 წელს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სალოტბარო სკოლის ახალგაზრდობის აქტიური ჩართვა ცენტრის მიერ მოწყობილ ფესტივალებსა და ღონისძიებებში. წარჩინებული ახალგაზრდობის უფასო სწავლება გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე. ასევე სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმების ხელშეწყობა და ადგილობრივი სპეციალისტების გადამზადება სპეციალური პროგრამით.
მოსალოდნელი შედეგი	სალოტბარო სკოლის მოსწავლეების უფასოდ ჩართვა სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ განხორციელებულ ფესტივალებსა და ღონისძიებებში.

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		7,0	37,0
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებში ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას; კულტურისა და განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.			
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურისა და განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.			

პროგრამის დასახელება	კოდი	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 03		50,0	124,5
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა) იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება, ა(ა) იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს გაზეთ „ახალი ხარაგაულის გამოცემას“. ცენტრის ბაზაზე ასევე ფუნქციონირებს ცხელი ხაზი. გაზეთის საშუალებით მოსახლეობას სისტემატიურად მიეწოდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების, ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობით დაინტერესებული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან კომუნიკაცია და მათთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება, ბევრად ნაკლები დროისა და ენერჯის ხარჯზე. ცხელი ხაზის ძირითადი დატვირთვაა შემდეგი აქტივობები: მოქალაქეთა პრობლემების დაფიქსირება და შესაბამის საჯარო მოხელეებთან გადამისამართება			

	და მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის ამაღლების, ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, სისტემატურად იმართება შეხვედრები სოფლებში. ადგილზეგაცნობა მოსახლეობის პრობლემების დაა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობამდე მიტანის უზრუნველყოფა. ასევე კომპეტენციის ფარგლებში დახმარება.
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტივობების შესახებ; ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება. მოქალაქეებისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება ბევრად ნაკლები დროის ხარჯზე.

პროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 04		50,0	200.0
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა დაბაში ახლადამუშაებულ საკათედრო ტაძარს შიდა მოწყობითი სამუშაოების შესასრულებლად და საეკლესიო ინვენტარის შესაძენად. ასევე დახმარება გაეწევა სკოლა-გიმნაზიას.			
მოსალოდნელი შედეგი				

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 05		10,0	50,5
პროგრამის განმახორციელებელი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები: - ახალგაზრდული პროექტები მომართვიანობის მიხედვით; ქვეპროგრამის მიზანია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდულ პოლიტიკასთან			

## მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა

დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

პრიორიტეტის კოდი	დასახელება	22018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	126.9	132.6	125.0	128.5	133.1	135.7
06 01 01	ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	0.0	56.8	0.0	0.0	0.0	0.0
06 02	სოციალური დაცვა	666.1	904.1	839.0	854.1	871.1	886.3
06 02 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	425.0	408.6	307.0	395.0	398.0	400.0
06 02 02	კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე პირთა დახმარება	0.0	4.0	4.0	4.0	4.0	4.0
06 02 03	შშმ პირთა დახმარების პროგრამა	0.0	35.0	35.0	37.0	39.0	40.0
06 02 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	0.0	60.0	60.0	62.0	64.0	66.0
06 02 05	ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	0.0	23.0	23.0	25.0	27.0	29.0
06 02 06	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა	0.0	12.0	10.0	12.0	14.0	16.0
06 02 07	მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა	0.0	3.0	3.0	4.0	5.0	6.0
06 02 08	მარჩენალდაკარგულთა დახმარების ქვეპროგრამა	0.0	6.0	6.0	6.0	6.0	7.0
06 02 09	ყოველთვიური დახმარების პროგრამა	0.0	40.0	50.0	52.0	54.0	56.0

პრიორიტეტის კოდი	დასახელება	22018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
06 02 10	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა დახმარების პროგრამა	0.0	8.0	8.0	8.0	8.0	8.0
06 02 11	ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა	0.0	2.0	2.0	2.0	2.0	2.0
06 02 12	სადღესასწაულო დღეების დახმარება	0.0	33.0	34.0	35.0	37.0	39.0
06 02 13	სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	0.0	10.0	10.0	10.0	10.0	10.0
06 02 14	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარების პროგრამა	0.0	6.0	6.0	6.0	6.0	6.0
06 02 15	ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა	27.0	32.0	30.0	31.0	32.0	33.0
06 02 16	გარდაცვლილი დეენილის ან ვეტერანის დაკრძალვა	0.5	2.0	1.0	2.0	2.0	2.0
06 02 17	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება	121.3	121.5	143.0	60.0	60.0	60.0
06 02 18	უფასო სასადილო	92.3	97.0	97.0	93.1	93.1	92.3
06 02 19	სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	0.0	1.0	10.0	10.0	10.0	10.0
	<b>სულ პროგრამა</b>	<b>793.0</b>	<b>1,093.5</b>	<b>964.0</b>	<b>982.6</b>	<b>1,004.2</b>	<b>1,022.0</b>

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		125,0	522,3

პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს.</p> <p>თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. ი) საჯარო დაწესებულებებში და ტრანსპორტში თამბაქოს კანონმდებლობის მონიტორინგი.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: კ) კიბოს სკრინინგის პროგრამაში უფასო ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.</p> <p>1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მაღარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი)</p> <p>2 იმუნოზაცია.</p> <p>3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა</p> <p>4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.</p> <p>5. თამბაქოს კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგი</p> <p>პროგრამის მიზანი.მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებსა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება</p>
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება

## სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის გარკვეული შეღავათებითა და დახმარებით უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოთი სარგებლობას, საოპერაციო, გამოკვლევის და სამკურნალო ხარჯების თანადაფინანსებას, შშმ პირთა, მარტოხელა მშობლების,

მარჩენალდაკარგულთა, მრავალშვილიანთა და ახალშობილთა ოჯახების დახმარებას, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა და უსახლკაროთა დახმარებას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფას და სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებას.

პროგრამის დასახელება	კოდი	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების ქვეპროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		307,0	1 500,0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ოპერაციის, მედიკამენტის, სამედიცინო კვლევის და მომსახურების დაფინანსება: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოპერაციებისა და სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას იმ თანხის 50%-მდე, რომელიც არ ანაზღაურდება კერძო დაზღვევის ან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, თანადაფინანსება განისაზღვრება 100 ლარიდან არაუმეტეს 700 ლარამდე, ასევე, სამედიცინო კვლევის თანადაფინანსება 50%-მდე, არაუმეტეს 500 ლარისა.</p> <p>გამონაკლისის სახით, როდესაც პაციენტს გადასახდელი თანხა 2000 ლარზე მეტია, თანადაფინანსება გაიწევა 1000 ლარამდე. ონკოლოგიური დაავადებების შემთხვევაში დახმარება გაიწევა 1500 ლარამდე.</p> <p>ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს 150 ლარამდე ერთჯერად დახმარებას მედიკამენტების შესაძენად მძიმე და ქრონიკული დაავადებებისას, კერძოდ:</p> <p>ა) ეპილეფსიის;</p> <p>ბ) პარკინსონის;</p> <p>გ) ბრონქიალური ასთმის;</p> <p>დ) 0-6 წლამდე ასაკის ბავშვების მკურნალობისას, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150000-ს.</p> <p>დახმარება გაიწევა ბენეფიციარებზე, რომლებიც რომლებიც არ მონაწილეობენ მედიკამენტებით დახმარების სახელმწიფო პროგრამაში.</p> <p>2019 წლის 9 თვის მაჩვენებლით პროგრამით ისარგებლა 598 ბენეფიციარმა.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება			

პროგრამის დასახელება	კოდი	კოხლეთარული იმპლანტით მოსარგებლე პირთა დახმარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		4,0	16,0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კოხლეთარული იმპლანტით მოსარგებლე 0-18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, კოხლეთარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ნაწილების შექმნა. ქვეპროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება კვების წყაროსთვის საჭირო ელემენტის ღირებულება და/ან პროცესორის და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება. დახმარების ოდენობა განისაზღვრება წელიწადში 1000 ლარის ოდენობით.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა			

პროგრამის დასახელება	კოდი	შშმ პირთა დახმარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	---------------------	----------------------------------	---



	<b>06 02 03</b>		<b>35,0</b>	<b>151,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა 0-18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვს, რომელსაც ესაჭიროება სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის ჩატარება, სამედიცინო კვლევა, მედიკამენტი. დახმარება განისაზღვრება ჯამში წელიწადში არაუმეტეს 1200 ლარისა.</p> <p>2. ქვეპროგრამის ფარგლებში ყოველთვიური დახმარება გაეწევა შშმ პირებს, რომლებიც საჭიროებენ მომვლელს და არ არიან სოციალური შემწეობის მიმღებნი. დაფინანსება განისაზღვრება თვეში 30 ლარით</p> <p>3. ქვეპროგრამის ღონისძიებებში გათვალისწინებულია ღონისძიების ორგანიზება, საჩუქრების შექმნა და ტრანსპორტის დაქირავება</p> <p>2019 წლის 9 თვეში ყოველთვიური დახმარების მიმღებია 42 შშმ პირი, განცხადებით სამედიცინო მომსახურებისთვის მოგვმართა 20 მოქალაქემ</p> <p>ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს შშმ პირთა თანადგომა</p>			
მოსალოდნელი შედეგი	შშმ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი ოჯახების თანადგომა			

პროგრამის დასახელება	კოდი	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	<b>06 02 04</b>		<b>60,0</b>	<b>251,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო განიცდიან უკიდურეს გასაჭირს, ერთჯერადად ფინანსურ დახმარებას. დახმარება განისაზღვრება არაუმეტეს 100 ლარისა.			
მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციარის ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა			

პროგრამის დასახელება	კოდი	ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	<b>06 02 05</b>		<b>23,0</b>	<b>104,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ჰემოდიალიზით ჩანაცვლების სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციარები, ტრანსპორტის ხარჯით უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან ყოველთვიურად 100 ლარით, ხოლო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ლეიკემიით დაავადებულ პირებს, მუნიციპალიტეტი წელიწადში გაუწევს 600 ლარის ოდენობით ფინანსურ დახმარებას. ქვეპროგრამის მიზანია პაციენტების ხელმისაწვდომობა სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობაზე			
მოსალოდნელი შედეგი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.			

პროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	<b>06 02 06</b>		<b>10,0</b>	<b>52,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			



პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 001-ს და რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი. დახმარება განისაზღვრება ოთხი ბავშვის შემთხვევაში წელიწადში ერთხელ 200 ლარით და ყოველ მომდევნო ბავშვზე ემატება 50 ლარი.
მოსალოდნელი შედეგი	მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. კერძოდ, პროგრამით შესაძლებელი იქნება 40 მრავალშვილიანი ოჯახის ფინანსური დახმარება

პროგრამის დასახელება	კოდი	მარტოხელა მშობლების დახმარების ქვეპროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 07		3,0	18,0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილ(ებ)ი. დახმარება განისაზღვრება წელიწადში ერთხელ 200 ლარით.			
მოსალოდნელი შედეგი	მარტოხელა მშობლების ფინანსური თანადგომა			

პროგრამის დასახელება	კოდი	მარჩენალდაკარგულთა დახმარების ქვეპროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 08		6,0	25,0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მოსარგებლეა 21 წლამდე ასაკის მარჩენალდაკარგული ბავშვი, რომელსაც გარდაცვლილი ჰყავს ერთ-ერთი ან ორივე მშობელი. დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით თითოეულ შესაბამის ასაკამდე ბავშვზე.			
მოსალოდნელი შედეგი	მარჩენალდაკარგულთა თანადგომა			

პროგრამის დასახელება	კოდი	ყოველთვიური ფინანსური დახმარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 09		50,0	212,0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მოსარგებლენი არიან: 1. დიდი სამამულო ომის ვეტერანები, 2. ზესტაფონის უსინათლოთა კავშირში გაერთიანებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსინათლოები 3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილები. დახმარება განისაზღვრება თვეში 30 ლარის ოდენობით.			
მოსალოდნელი შედეგი	აღნიშნული კატეგორიის ოჯახების ფინანსური შესაძლებლობების გაზრდა კომუნალური გადასახადების უზრუნველყოფისათვის			

პროგრამის დასახელება	კოდი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 10		8,0	32,0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			

ბელი	
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დახმარება გაიწევა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულ იმ ოჯახებზე, რომლებზეც არ ვრცელდება „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის კრიტერიუმები
მოსალოდნელი შედეგი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების თანადგომა და მათი საფლავების მოვლა-პატრონობა

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა</b>	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	<b>06 02 11</b>		<b>2,0</b>	<b>8,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი ბელი	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების დახმარება 500 ლარის ოდენობით			
მოსალოდნელი შედეგი	უზუცესთა პატივისცემა			

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>სადღესასწაულო დღეების დახმარება</b>	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	<b>06 02 12</b>		<b>34,0</b>	<b>145,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი ბელი	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფზე გაიწევა ფინანსური დახმარება: საშობაო ალილოს დღესასწაულთან დაკავშირებით უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს გაეწევა დახმარება სურსათით. ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად სამამულო ომის ვეტერანებს გაეწევა ფინანსური დახმარება 200 ლარით. ჩერნობილის ა/ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებისა და ზარალიანების დაზარალებულებს _ 100 ლარით. 1989 წ. 9 აპრილს დაზარალებულებს _ 300 ლარით. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით _ 100 ლარით. აუტიზმზე ცნობადობის ამაღლების დღესთან დაკავშირებით _ 100 ლარით. აგვისტოს ომში გარდაცვლილის ოჯახის წევრს -500 ლარით.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე დაგეგმილია:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ღირშესანიშნავი თარიღების აღსანიშნავად გვირგვინების /თაიგულების და საჩუქრების შექმნა.</li> <li>2. საკვები პროდუქტის შექმნა უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის ალილოს დღესასწაულთან დაკავშირებით.</li> </ol> <p>ქვეპროგრამის მიზანია სადღესასწაულო დღეებსა და ღირშესანიშნავ თარიღებში მოწყვლადი ჯგუფების ფინანსური და მორალური მხარდაჭერა</p>			
მოსალოდნელი შედეგი	მოწყვლადი ჯგუფების ფინანსური მხარდაჭერა			

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა</b>	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	<b>06 02 13</b>		<b>10,0</b>	<b>40,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი ბელი	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			

პროგრამის აღწერა და მიზანი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი (57000 ქულის ჩათვლით) და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა -200 ლარის ოდენობით, პირველ შემთხვევაში ოჯახის უფლებამოსილი წევრის, მეორე შემთხვევაში – ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მომართვის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ მერის ბრძანების საფუძველზე			
მოსალოდნელი შედეგი	გარდაცვლილის ოჯახის მხარდაჭერა/მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების ხელშეწყობა			

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარების პროგრამა</b>	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	<b>06 02 14</b>		<b>6,0</b>	<b>24,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა დაბაში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს სათბობი მასალით (შეშა) თოთოეულს 2 კვ. მ.			
მოსალოდნელი შედეგი	უმწეო ოჯახების სათბობი მასალით უზრუნველყოფის ხელშეწყობა			

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა</b>	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	<b>06 02 15</b>		<b>30,0</b>	<b>126,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახები. დახმარება განისაზღვრება პირველი ბავშვის შეძენის შემთხვევაში 100 ლარით, მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში 150 ლარი და ყოველ მომდევნო ბავშვზე ემატება 50 ლარი. ტყუპების შეძენის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 500 ლარით. სამი და მეტი ტყუპის შეძენის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 1500 ლარით			
მოსალოდნელი შედეგი	ახალშობილთა ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.			

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა</b>	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	<b>06 02 16</b>		<b>1,0</b>	<b>5,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილის ან ომის ვეტერანის დაკრძალვის შემთხვევაში სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა -250 ლარის ოდენობით, მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, დელეგირებული უფლება-მოსილების განსახორციელებლად. ქვეპროგრამის მიზანია გარდაცვლილის პატივის მიცემა			
მოსალოდნელი შედეგი	გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის სარიტუალო მომსახურება			

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>სტიქიის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება</b>	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	<b>06 02 17</b>		<b>143,0</b>	<b>323,0</b>

პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში შემოსული განცხადების საფუძველზე შესაბამისი კომისია შეისწავლის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობას და წარმოადგენს დასკვნას დაზიანების კატეგორიის მოხედვით. დახმარება გაიწევა ავარიულ მდგომარეობაში მყოფი და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლისთვის - არაუმეტეს 3 000 ლარისა დაზიანების კატეგორიების შესაბამისად. მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად განისაზღვრება ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია 2019 წლის ივნისის თვეში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ასევე უსახლკარო ოჯახების და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით ან საცხოვრებელი უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შედეგი	ოჯახების საცხოვრებელი პირობების შექმნა/გაუმჯობესება

პროგრამის დასახელება	კოდი	სათნოების სახლი	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 18		97,0	375,5
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)ი.პ., ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი"			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტში უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების , მრავალშვილიანი ოჯახების კვირაში ექვსი დღე, დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართა დახმარება საკვები პროდუქტებით.			
მოსალოდნელი შედეგი	უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა , მრავალშვილიანი ოჯახების საკვებ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობა, შიმშილის ნაწილობრივ ან სრულად აღმოფხვრა.			

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 02 19		10,0	40,0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ხარაგაულში ამ დროისთვის არ არსებობს დღის ცენტრი. საჭიროება მწვავედ დგას. მოქალაქეებს უახლოეს მუნიციპალიტეტში ბავშვების ტარება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა/ორგანიზაციის თანადაფინანსება შესაბამისი სოციალური უზრუნველყოფის ობიექტის მოწესრიგებით			
მოსალოდნელი შედეგი	სოციალური პასუხისმგებლობა			

## მმართველობა და საერთო დანიშნულება

მმართველობითი სფეროს გამართული მუშაობა ერთ ერთი მთავრი ფაქტორია მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან დაფინანსდება სარეზერვო ფონდიდან გასაცემი ხარჯები ასევე მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება, მათ შორის მუნიციპალური განვითარების

ფონდიდან აღებული სესხების მომსახურება , ასევე საჭიროების შემთხვევაში მოხდება სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა.

პრიორიტეტის კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2,280.2	2,460.2	2,484.0	2,475.5	2,467.8	2,472.3
01 01 01	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	568.8	636.5	627.0	637.1	637.9	641.4
01 01 02	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია	1,625.6	1,734.4	1,757.5	1,736.8	1,727.8	1,728.3
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	85.8	89.3	81.5	83.6	84.1	84.6
01 01 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	0.0	0.0	18.0	18.0	18.0	18.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	48.4	62.0	119.0	129.0	139.0	149.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0.0	11.0	50.0	60.0	70.0	80.0
01 02 02	წინაპერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	0.0	0.0	5.0	5.0	5.0	5.0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	48.4	51.0	64.0	64.0	64.0	64.0
	<b>სულ პროგრამა</b>	<b>2,328.6</b>	<b>2,522.2</b>	<b>2,603.0</b>	<b>2,604.5</b>	<b>2,606.8</b>	<b>2,621.3</b>

პროგრამის დასახელება	კოდი	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	01 01 04		18,0	72,0

პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის მერია
პროგრამის აღწერა და მიზანი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის თანამშრომლების გადამზადება განხორციელდება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მათ შორის საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის მიერ. გადამზადდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიისა და ა(ა)იპ-ების თანამშრომლები, რომლებიც ჩართულები არიან და მონაწილეობენ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დარგობრივი პროგრამებისა და პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენაში. გადამზადდება ხორციელდება უფასოდ საწევროს ფარგლებში. სწავლება ხორციელდება უწყვეტად მთელი წლის და პროგრამის განმავლობაში და გაიცემა სერთიფიკატები.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის და ა(ა)იპ-ების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა</b>	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	<b>01 02 02</b>		<b>5,0</b>	<b>20,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ამ ქვეპროგრამით საჭიროების შემთხვევაში დაფინანსდება წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებები და მოხდება სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა			
მოსალოდნელი შედეგი	სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება პირგასამტეხლოს გარეშე			

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა</b>	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	<b>01 02 03</b>		<b>64,0</b>	<b>256,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ფარგლებში ქონების გადაცემის სასახო ხელშეკრულებით მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული ათწლიანი სესხის- 356 455 ლარის (რომლითაც შექმნილია ორი ერთეული კომპაქტორიანი ნაგავშიდი მანქანა და ასი ცალი ნარჩენების კონტეინერი) საპროცენტო და ძირი თანხის დაფარვა დაწესებული გრაფიკის მიხედვით წელიწადში ორჯერ აპრილისა და ოქტომბრის 28 რიცხვებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად.			
მოსალოდნელი შედეგი	სასესხო ვალდებულების დაფარვა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.			